პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი №30 (11336) | ხუთშაბათი, 5 თებერვალი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე

4 თებერვლის საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა კ. ტ. მაზუროვი. მან სიტყვა მისცა ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. ი. სნეჩკუსს. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დ. ეარაევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კუზმინი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ა. ნ. ნესმეიანოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ხ. ა. თოვმასიანი, ტამბოვის ოლქის კომიტერნის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. ი. ანდრეევა.

საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს გენერალური მდივანი აჯოი გჰოში, ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ედვარდ ჰილი, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე აპოსტოლოს ბროზოსი, მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დიონისიო ენსინა.

სხდომის დასასრულს არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს რეზოლუციის პროექტი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

4 თებერვლის დილის სხდომა დაიწყო ნ. ს. ხრუშჩოვის თავმჯდომარეობით.

სიტყვა ეძლევა ყურგანის ოლქის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მესაქონლეს ტ. ს. მალცევს.

შემდეგ გამოდიან პარტიის ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი ტ. შ. შტიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ელექტრული მეწყვილეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. შელეპინი.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. ეან ბლუმი, შვეიცარიის კომპარტიის თავმჯდომარე ამხ. ჰილდინგ ჰაგბერგი, კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის გენერალური მდივანი, ამხ. �ბაკი, ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლუის კორვალანი, ეკვადორის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. პედრო ანტონიო სალდი და ცეილონის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. პიტერ კეინემანი.

მოკლე შესვენების შემდეგ განახლებულ სხდომას თავმჯდომარეობდა ო. ვ. კუუსინენი. მან სიტყვა მისცა პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ი. კ. ლეგედევს, შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. ფ. უსტინოვი, პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კ. ძეგალინი.

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

2 თებერვლის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომა იხსნება ამხ. ა. ი. მიკოიანის თავმჯდომარეობით. პირველი გამოდის საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი. პარტიის XXI ყრილობა მიმდინარეობს მასების უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, ამბობს იგი. ჯერ კიდევ ყრილობის გახსნამდე დიდი ხნით ადრე მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მას მიეცა საყოველთაო-სახალხო გაქანება, ავიდა ახალ საფეხურზე, რაც გამოიხატა შესანიშნავი მოძრაობით კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდების მოპოვებისათვის.

ორატორი აღნიშნავს, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულებაში დიდი როლი ეკუთვნით პროფკავშირებს, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 52 მილიონ მუშასა და მოსამსახურეს. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროფკავშირების აქტივობა, გაიზარდა მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, აგრეთვე როგორც მართვის, მეურნეობის გაძღოლის ლენინური სკოლისა. საწარმოებში და მშენებლობებზე შექმნილია მუდმივ მოქმედი საწარმოო თათბირები, რომელთა შემადგენლობაში არჩეულია 7 მილიონამდე კაცი. გაძლიერდა პროფკავშირების აქტივობა მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების დარგში.

ამხ. გრიშინი ეხება საბჭოთა პროფკავშირების ურთიერთობას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პროფკავშირებთან და კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირებთან კონტაქტების განვითარებას.

ახასიათებს რა პროფკავშირების ამოცანებს, იგი აღნიშნავს, რომ ისინი ყოველნაირად დაუჭერენ მხარს ჩვენს ქვეყანაში გაშლილ შეჯიბრებას იმისათვის, რომ ყოველი ღონისძიებით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, ვადამდე შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი, დაეხმარებიან მათ მონაწილეთ შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი.

ხაზს უსვამს რა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა დიდ როლს შრომის ნაყოფიერების აღმავლობაში, ამხ. გრიშინი ამბობს, რომ მარტო შარშან მათ 2.7 მილიონზე მეტი წინადადება შეიტანეს. მათი დანერგვის ეკონომიურმა ეფექტმა 9 მილიარდი მანეთი შეადგინა წელიწადზე გაანგარიშებით. პროფკავშირები იზრუნებენ გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის შემდგომი განვითარებისათვის, შრომის დაცვის შემდგომი გაძლიერებისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, ყოველნაირად შეუწყობენ ხელს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებას მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაში.

ამხ. გრიშინი ყურადღებას აქცევს იმას, რომ იმ ღრმა თეორიულ და პრაქტიკულ დებულებათა მიხედვით, რომლებიც ამხანაგმა ხრუშჩოვმა გამოთქვა თავის მოხსენებაში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა როლის შესახებ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. განსაკუთრებით უაზროდ მოჩანს ეგრეთწოდებული „თავისუფალი“ პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის რეაქციონერი ლიდერების მეცადინეობა. რომელნიც ისწრაფვიან ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების პროფკავშირებს, დაამცირონ მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში. ნამდვილად, არც ერთ კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროფკავშირებს არ შეიძლება ჰქონდეთ ისეთი უფლებანი, როგორიც აქვთ ჩვენს, საბჭოთა პროფკავშირებს.

ამხ. გრიშინი ყრილობის ტრიბუნიდან ყველა დამსწრის ერთსულოვანი მოწონებით, გამოთქვამს საბჭოთა ადამიანების მოთხოვნას—გაათავისუფლონ საბერძნეთის ეროვნული გმირი მანოლის გლეზოსი და სხვა ბერძენი პატრიოტები. ჩვენ მხურვალე სალამს ვუთვლით, განაგრძობს ორატორი, ხალხის საქმისათვის მაც მებრძოლებს, კომუნისტური და მუშათა პარტიების, პროფკავშირული და მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების აქტივისტებს, პოლიციის ტერორისა და დევნის ყველა მსხვერპლს, რომელნიც საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში იმყოფებიან, და მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას.

— სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ კაპიტალური მშენებლობის კოლოსალურ გაქანებას, თქვა თავის გამოსვლაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. თ. ზასიადკომ. — შვიდ წელიწადში ათვისებულ უნდა იქნას თითქმის იმდენი სახსრები, რამდენიც დაბანდებული იყო სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე, ამასთან ამ სახსრების 40 პროცენტი ხმარდება აღმოსავლეთ რაიონებს, სადაც ამოქმედდება დაუშრეტელი ბუნებრივი რესურსები. ეს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ახალ მძლავრ აღმავლობას გამოიწვევს. კაპიტალურ სამუშაოთა დასახული პროგრამა წარმატებით რომ შეავასრულოთ, საჭიროა გავაუმჯობესოთ მშენებლობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობის მეთოდები, განსაკუთრებით სახელმწიფო სახსრების ხარჯვის დარგში. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უნდა მივაღწიოთ მაქსიმალურ საწარმოო შედეგებს შრომის ყველაზე ნაკლები დახარჯვით.

უკვე მრავალი წელია მიმდინარეობს ბრძოლა მშენებლობის ეკონომიურობის გადიდებისათვის, მაგრამ ამ საკითხს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა. მაგალითად, ორსკ-ხალილოვოს მეტალურგიული კომბინატის (ორენბურგის ოლქი) აგებაში, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ 1939 წელს დაიწყო, ამ ხნის მანძილზე დაბანდებულია 1.300 მილიონი მანეთი. სახელმწიფომ მშენებლობის ასეთ ხანგრძლივ ვადაში მარტო სახსრების გაყინვით ნახა 1,8 მილიარდი მანეთი ზარალი. მაშასადამე, კომბინატის მშენებლობა სახელმწიფოს დაუჯდა არა 1,3 მილიარდი მანეთი, როგორც ეს ჩაწერილია ხარჯთაღრიცხვაში, არამედ 3,1 მილიარდი მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ სამთო საქმის თანამედროვე პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება ნელსაყრელია რკინიგზის ტრანსპორტის გამოყენებასთან შედარებით, მთელი რიგი სამთო გამამდიდრებელი კომბინატები ჩვენს ქვეყანაში, საღი აზრის წინააღმდეგ, შენდება ისე, რომ გათვალისწინებულია ტვირთის რკინიგზის ტრანსპორტით გადაზიდვა. ორატორის აზრით საჭიროა გადაისინჯოს სამთამადნო საწარმოთა მშენებლობის საპროექტო დავალებანი სახელმწიფო სახსრების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების მიზნით.

ამხ. ზასიადკოს მიაჩნია, რომ ერთ-ერთი პირველხარისხოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირება. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წინასწარი მონაცემებით, ამბობს იგი, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობამ 1959 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა დაახლოებით 179 მილიარდი მანეთი, ხოლო ყველა იმ ობიექტის საერთო რიცხვი, რომლებიც შენდება, 320 ათასს აღემატება.

ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. დაუმთავრებელი მშენებლობის დიდი ოდენობა უმთავრესად მგეგმავი ორგანოების მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შედეგია. წარმოების სწრაფი ზრდის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ მგეგმავმა ორგანოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა გულმოდგინედ განიხილონ ყოველი ობიექტის დაწყებული მშენებლობა, განსაზღვრონ რაც შეიძლება უფრო მოკლე ვადები მათი აგების დამთავრებისა, გადაანაწილონ ფულადი და მატერიალური რესურსები, უმნიშვნელოვანეს ობიექტებზე მოუყარონ თავი სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებს. ეს შესაძლებელს გახდის უფრო სწრაფად გადასცენ ისინი საექსპლოატაციოდ, შემდეგ კი დაუბრუნდნენ დროებით შეჩერებულ მშენებლობებს.

საჭიროა არსებითად გაუმჯობესდეს საპროექტო საქმის ორგანიზაციაც, აცხადებს ამხ. ზასიადკო. ჩვენი ქვეყნის საპროექტო ორგანიზაციებში ახლა მუშაობს 260 ათასზე მეტი ინჟინერი, არქიტექტორი და სხვა სპეციალისტი. მომავალ შვიდწლედში ახალ სახეობათა წარმოების ათვისება მოწინავე ტექნიკისა და პროცესების ავტომატიზაციის საფუძველზე დღის წესრიგში აყენებს ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიისათვის შეგუებული სხვა ტიპების შენობათა და ნაგებობათა შემუშავებას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვამ ცხადყო პარტიისა და ხალხის მძლავრი ერთიანობა და შეკავშირება, მისი ურღვევი კავშირი მშრომელთა ფართო მასებთან, განაცხადა შემდგომ გამოსულმა ამხ. ვ. ნ. ტიტოვმა (ხარკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაცია).

ორატორმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადყოფენ ხარკოვის ოლქის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. იგი აღნიშნავს, რომ გადიდდა ტრაქტორების, ორთქლის ტურბინების, თბომავლების, ტურბინგენერატორებისა და სხვა მანქანების გამოშვება. ოლქის მრეწველობა ახლა უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე ვითარდება. უკანასკნელ ორ წელიწადში შეიქმნა და ათვისებულია დაახლოებით 500 ახალი მანქანა, ჩარხები, ხელსაწყოები და აპარატები.

მომავალ შვიდწლედში სამრეწველო წარმოების მოცულობა ოლქში გადიდდება სამოცდაათი პროცენტით და მეტად. მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება ერთიორად გადიდდება. სწრაფი ტემპებით განვითარდება გაზისა და ქიმიური მრეწველობა, აგრეთვე ენერგეტიკული მეურნეობა. ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების რაოდენობა ქარხნებში 10-ჯერ გაიზრდება.

ეხება რა სოფლის მეურნეობის საკითხებს, ამხ. ტიტოვი ამბობს, რომ შარშან მარცვლეულის საერთო მოსავალი ოლქში 1953 წელთან შედარებით 48 მილიონი ფუთით გადიდდა. გადამწყვეტი როლი შეასრულა სიმინდმა. გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის სულადობა. განმტკიცდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა, გაუმჯობესდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობა. სასოფლო-სამეურნეო არტელების ფულადმა შემოსავალმა შარშან შეადგინა 1.750 მილიონი მანეთი — 2,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1953 წელს. გაიზარდა სოფლის მეურნეობის ათასობით შესანიშნავი მოწინავე, საკოლმეურნეო სოფლის სახელგანთქმული ხელმძღვანელი. მაგრამ, ამბობს ორატორი, ჩვენ კარგად გვესმის, რომ მიღწეული მაჩვენებლები მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. გადაწყდა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმით დასახულ დონეს ოლქმა მიაღწიოს არა შვიდ, არამედ ხუთ წელიწადში.

სიტყვა ეძლევა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ი. რ. რაზაკოვს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებში, ამბობს ორატორი, ზუსტად განსაზღვრულია დავალებანი ყველა დარგის მიხედვით, როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ისე ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში, ამასთან სავსებით სწორად შეხამებულია ცალკეული რესპუბლიკებისა და მთლიანად საბჭოთა კავშირის ინტერესები. ეს არის მკაფიო გამოხატულება პარტიის დაუცხრომელი ზრუნვისა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებისათვის, მისი უდმივი ყურადღებისა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი აღმავლობისადმი.

ყირგიზეთი წარსულში ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი გაბაპირა მხარე იყო. ახლა იგი აყვავებული ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტური რესპუბლიკაა განვითარებული კულტურით, მეცნიერებით, ლიტერატურითა და ხელოვნებით. ყირგიზეთის მრეწველობამ რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 50-ჯერ გაადიდა. შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით კაპიტალური დაბანდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებაში განსაზღვრულია 10,5 მილიარდი მანეთით, ანუ ოთხი წინა ხუთწლედის კაპიტალდაბანდებას უდრის. მომავალ შვიდწლედში ყირგიზეთის მრეწველობა სწრაფი ტემპით განვითარდება. გათვალისწინებულია საერთო პროდუქციის წარმოება გადიდდეს 2,2-ჯერ.

ამხ. რაზაკოვს საჭიროდ მიაჩნია განხილულ იქნას ყარა-კეჩის ქვანახშირის საბადოს ათვისების და ფრუნზე-სადგურ ჩუს რკინიგზის მშენებლობის საკითხი მიმდინარე შვიდწლედში. ამ ობიექტებს სასიცოცხლოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის. ყარა-კეჩის ქვანახშირის საბადოში 1965 წლისათვის შეიძლება ქვანახშირის ამოღება ავიყვანოთ 3 მილიონ ტონამდე წელიწადში, რაც საშუალებას მოგვცემს გავთავისუფლდეთ შორეული რაიონებიდან ფრუნზეში ქვანახშირის შემოზიდვისაგან. ყირგიზეთმა, აღნიშნავს ამხ. რაზაკოვი, გადალახა სოფლის მეურნეობის ხანგრძლივი ჩამორჩენა. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მნიშვნელოვნად გაიზარდა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. მომავალ შვიდწლედში იგი კიდევ უფრო განვითარდება. შაქრის ჭარხლისა და ნედლი ბამბის წარმოება განზრახულია გადიდდეს თითქმის ერთნახევარჯერ, მარცვლეულისა —ორ-ორნახევარჯერ, ხორცისა — დაახლოებით სამჯერ, რძისა — 2,6-ჯერ. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, მთელმა პარტიულმა ორგანიზაციამ ვალდებულება იკისრეს უკვე წელს გაადიდონ ხორცის წარმოება სულ ცოტა ერთნახევარჯერ 1958 წელთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილი წლები, — ამბობს თავის სიტყვაში ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ ი. გ. კებინი,—პარტიის ლენინური პოლიტიკის ახალი ზეიმი, მისი გენერალური ხაზის ტრიუმფია. არა მარტო პარტია, არამედ აგრეთვე ყველა საბჭოთა ადამიანი ღრმად დარწმუნებულია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი პროგრამა წარმატებით შესრულდება მთლიანად და გადაჭარბებით. ეს რწმენა ემყარება სოციალისტური წყობილების დაუშრეტელ შესაძლებლობებს, რომელმაც საბოლოოდ გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა იცის, რომ სოციალისტურმა წყობილებამ, მოძმე ხალხების მეგობრობამ და ურთიერთდახმარებამ უზრუნველყვეს მათთვის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება.

კონკრეტული მაგალითებით ამხ. კებინი ცხადყოფს, თუ რამდენად უფრო სწრაფად ვითარდება ესტონეთი საბჭოთა პერიოდში ბურჟუაზიის ბატონობის წლებთან შედარებით.

მიუხედავად ომით მიყენებული უდიდესი ნგრევისა, 1958 წელს აქ სამრეწველო წარმოება 9,3-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1940 წელს. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერებამ დაახლოებით ექვსჯერ გადაჭარბა 1940 წლის დონეს.

ამხ. კებინი აცხადებს, რომ 1965 წელს რესპუბლიკაში გამომუშავებული იქნება 3,3-ჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე გამომუშავებული იყო მთელ მეფის რუსეთში 1913 წელს.

ორატორი შემდეგ ლაპარაკობს სოფლის მეურნეობის სწრაფ აღმავლობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ. შარშან ეს ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე რესპუბლიკაში მიღებული იყო 380 ცენტნერი რძე და 40,2 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით. ამხ. კებინი აცხადებს, რომ რესპუბლიკის მშრომელები ვალდებულებას კისრულობენ 5 წლის განმავლობაში შეასრულონ საკონტროლო ციფრებში ჩაწერილი დავალება, ხოლო შვიდწლედის დამლევისათვის 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღონ სულ ცოტა 81 ცენტნერი ხორცი.

სიტყვა ეძლევა სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ს. დ. იგნატიევს. ჩვენს პარტიასა და საბჭოთა ადამიანებს, ამბობს იგი, ყველა საფუძველი აქვთ იამაყონ თავიანთი მუშაობის შედეგებით. ეს შედეგები შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პარტია, ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით და შემოქმედებითად ავითარებს რა მას, შეურიგებელ ბრძოლას ეწევა რევიზიონიზმის, დოგმატიზმის, კონსერვატიზმის წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეწინააღმდეგება პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებას. პარტიის წინაშე და მთელი კომუნისტური მოძრაობის წინაშე ცენტრალური კომიტეტის უდიდესი დამსახურებაა განადგურება ფრაქციონერების — ჰალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინის, შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფისა, რომელიც ცხოვრებასა და ხალხს მოსწყდა.

ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ზრუნვის მეოხებით, რომლებიც განუხრელად ახორციელებენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, წინათ ჩამორჩენილ თათრეთში ახლა შექმნილია მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, მსხვილი მექანიზებული სოფლის მეურნეობა, სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი. გასულ წელს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 141-ჯერ, განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება ნავთობის მრეწველობა, რომლითაც თათრეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში.

გეგმით თათრეთში 1965 წლისათვის ნავთობის ამოღება უნდა გადიდდეს 2,3-ჯერ, ხოლო თანამგზავრი გაზისა — 3,8-ჯერ. არსებული და ახლად აღმოჩენილი საბადოები უზრუნველყოფენ ასეთი დავალების არა მარტო მთლიანად, არამედ აგრეთვე გადაჭარბებით შესრულებას.

შვიდწლედში, აცხადებს ამხ. იგნატიევი, თათრეთში უნდა გაიბურღოს ხუთი ათასი ჭაბურღილი, ნაცვლად წინა რვა წელიწადში გაბურღილი ორი ათასისა. თათრეთის მბურღავებმა ვალდებულება იკისრეს გააკეთონ ეს მბურღავთა ბრიგადების რაოდენობის გაუდიდებლად, მხოლოდ იმ გზით, რომ გაადიდონ ერთ ბრიგადაზე ბურღვა 22-25 ათას მეტრამდე წელიწადში.

საღამოს სხდომაზე, ისევე როგორც დილით, გრძელდებოდა უცხოეთის მოძმე პარტიების წარმომადგენელთა გამოსვლები.

ალჟირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლარბი ბუჰალიმ თავის გამოსვლაში განაცხადა: არავითარი ეჭვი არ არის, რომ შესანიშნავი შვიდწლიანი გეგმა შესრულდება. მისი განხორციელება ნიშნავს არა მარტო საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ აგრეთვე სოციალიზმის მთელი ბანაკის — ყველა ხალხის მშვიდობისა და დამოუკიდებლობის ბურჯის განმტკიცებას.

ილაპარაკა რა ალჟირელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ამხ. ბუჰალიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის ახალი მთავრობაც უგუნურად იმედოვნებს ჩაახშოს ალჟირელი ხალხის „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამანადგურებელი ომის შემდგომი გაძლიერების გზით. ალჟირელი ხალხი თავის სისხლს ღვრის დამოუკიდებლობისა და უკეთესი ცხოვრებისათვის, მაგრამ ამასთან მას მხურვალედ სწყურია მშვიდობა, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ბუჰალი. აი ამიტომ იგი ერთიანდება ეროვნული განთავისუფლების თავისი ფრონტისა და თავისი მთავრობის გარშემო, რომელიც, იმყოფება რა ნეიტრალურ ქვეყანაში, განუწყვეტლივ სთავაზობს საფრანგეთის მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება ალჟირის მთელი პრობლემის შესახებ.

ფრანგ კოლონიზატორებს დახმარებას უწევენ ამერიკელი და სხვა იმპერიალისტები ნატოდან. მაგრამ ალჟირელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, იმიტომ რომ მის სამართლიან საქმეს მორალურად უჭერენ მხარს პროგრესისა და მშვიდობის მთელი ძალები, მათ შორის საფრანგეთშიც, რომელსაც ალჟირელი პატრიოტები როდი აიგივებენ კოლონიზატორებთან.

ალჟირელი კომუნისტები, აქტიურად მონაწილეობენ რა სახალხო ბრძოლაში, შთაგონებას პოულობენ უძლეველ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში და ერთი ნაბიჯითაც არ იხევენ უკან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებიდან.

საბჭოთა კავშირის გრანდიოზულ შვიდწლიან გეგმას, განაცხადა არგენტინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ხერონიმო არნედო ალვარესმა, მხურვალედ დაუჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხთა მასები. პოლიტიკურ ვითარებას არგენტინაში, ამბობს იგი შემდეგ, ახასიათებს საყოველთაო უკმაყოფილებისა და აღშფოთების მდგომარეობა. ხალხის მასებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ ეკონომიური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის რადიკალური ცვლილებებისათვის. ამას ადასტურებს დიდი კლასობრივი ბრძოლები, რომლებსაც ამჟამად ეწევა არგენტინელი ხალხი.

ამხ. ალვარესი აცხადებს, რომ ამ ბოლო დროს გაფიცვებში მონაწილეობისათვის სამუშაოდან დაითხოვეს ათასობით მუშა, პროფკავშირებს კონტროლს უწევს არმია. თავს დაესხნენ და დახურეს პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების შენობები, აგრეთვე ბეჭდვითი ორგანოების რედაქციები.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, ამბობს ორატორი, რომ არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი მუშათა კლასისა და ხალხის ბრძოლა ეკონომიური დამოუკიდებლობის, ეროვნული პროგრესისა და მშვიდობის დასაცავად, ჩვენი პარტია, რომელსაც მაღლა უჭირავს სახალხო-ეროვნული მოთხოვნების დროშა, თავის მუშაობას წარმართავს მასებთან კავშირის განსამტკიცებლად და მთელ ძალებს ახმარს მუშათა კლასის ერთიანობისა და ხალხის მთელი მასების მოქმედების ერთიანობის მიღწევას. ეს მზარდი მასობრივი მოძრაობა, დაასკვნის ამხ. ალვარესი, იქნება იმის გარანტია, რომ შეიქმნას ეროვნულ-დემოკრატიული ფრონტი და ფართო დემოკრატიული კოალიციის მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ხალხის ძირითადი მოთხოვნების შესრულებას.

ყრილობას გულითადი ძმური სალამი გადასცა მაროკოელი ხალხისა და მაროკოს კომპარტიისაგან პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ალი იატამ.

იგი შეეხო მაროკოს ეროვნულ-პატრიოტული ძალების ბრძოლას მაროკოს კუთვნილი, მაგრამ საფრანგეთისა და ესპანეთის მიერ დაკავებული საპარის ორი მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის. მან განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ არ მოისურვა გადაქცეულიყო ატლანტიკის კოალიციის სამხედრო ბაზად და უარი თქვა შეერთებოდა ბაღდადის პაქტს, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვის ბლოკს. მიუხედავად საფრანგეთ-ამერიკის წინააღმდეგობისა, ჩვენმა ქვეყანამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან.

მაროკოელთა ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და თავისუფლებისათვის იწვევს იმპერიალისტთა შემოტევას, რომლებიც ეკონომიურ ზეგავლენასთან ერთად მიმართავენ ინტრიგებსა და შეთქმულებებს. ამ პირობებში მაროკოს კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, ამბობს ამხ. ალი იატა, რომ მთელი ეროვნული და პატრიოტული ძალების მთავარი ამოცანაა გააერთიანონ ღონისძიებანი, რათა ლახვარი ჩასცენ იმპერიალისტ შეთქმულებსა და მათს აგენტებს, რათა დაიცვან ეროვნული დამოუკიდებლობა, მიიყვანონ ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე.

ჩვენ ძნელ პირობებში ვიბრძვით, დაასკვნის ალი იატა, მაგრამ აღსავსენი ვართ ენთუზიაზმით, რადგან გვამხნევებს ჩვენი პირველი ეროვნული გამარჯვებანი, რომელებსაც გარდუვალად მოჰყვება ახალი გამარჯვებანი, გვამხნევებს, აგრეთვე თქვენი გრანდიოზული მიღწევები.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრები ვ. ულბრიხტი და ო. გროტეოლი ესაუბრებიან ყრილობის დელეგატებს.

ფოტო ა. სტუჟინისა და ვ. კუნოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

(დასასრული)

წარმატებანი იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დაისახა უახლოეს 7 წლისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, რაზეც ლაპარაკია ამხანაგ ხრუშჩოვის თეზისებში, განაცხადა ურუგვაის კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **როდნეი არისმენდიმ**, ნათელ პერსპექტივებს სახავს ისეთი დამოკიდებული ქვეყნებისათვის, როგორიც არის ურუგვაი, რომელიც ნაწილია ლათინური ამერიკისა და გაძარცულია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მიერ. ამჟამად ჩვენი ქვეყნის ამოცანაა ბრძოლა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკისათვის, დემოკრატიისა და ეკონომიური პროგრესისათვის.

იდეოლოგიის მხრივ სკკპ XXI ყრილობა, ამბობს იგი შემდეგ, საბოლოო ლახვარს ჩასცემს რევიზიონიზმსა და ყველა მის გამოვლინებას, მისცემს რა, კერძოდ, სწორ კრიტიკულ შეფასებას იუგოსლავიის ხელმძღვანელთა მანევრებს.

ილაპარაკა რა ურუგვაელ მშრომელთა ბრძოლაზე თავიანთი ეკონომიური და პოლიტიკური უფლებებისათვის, ამხ. არისმენდიმ თქვა: ჩვენი პარტია გამოდის პრინციპული სიმტკიცით, დათმობას არ უკეთებს არც რევიზიონისტებს, არც სექტანტებს. კიდევ უფრო განამტკიცებს რა კავშირს მასებთან, პარტიამ გაზარდა თავისი ავტორიტეტი მუშათა კლასსა და მთელ ხალხში და განმტკიცა პოზიციები პროლეტარიატის ძირითად ცენტრებში. ეს გამოიხატა იმით, რომ 35 პროცენტით გადიდდა იმ ხმების რიცხვი, რომლებიც მან მიიღო უკანასკნელ არჩევნებში, გაორკეცდა მისი რიგების რიცხვი, მკვეთრად გაიზარდა კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი. პარტიის წევრთა ნახევარზე მეტი მუშაობს დიდ ფაბრიკებში ქარხნებსა და მუშათა ცენტრებში. სკკპ XXI ყრილობით აღფოთოვანებულნი, ჩვენ ვეცდებით გავაუმჯობესოთ მუშაობა ურუგვაის მუშათა კლასის დიდი პარტიის მშენებლობისათვის.

ამით დამთავრდა საღამოს სხდომა.

სხდომებს შორის შესვენების დროს ყრილობის დელეგატები საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან წიგნის კოსკთან.

ფოტო ა. ბატანოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

3 თებერვლის დილის სხდომა

კრემლის დიდი სასახლის დარბაზში მეშვიდე დღეა მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა. ღრმად და ყოველმხრივ, მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის ნიშნით განიხილავენ დელეგატები კომუნისტური საზოგადოების გამლილი მშენებლობის გრანდიოზული გეგმის ამოცანებს. ყრილობაზე გამოსულთა ყურადღების ცენტრშია სსრ კავშირის საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესის, მთელი ეკონომიკის საფუძვლის — შრომე ინდუსტრიის ახალი აღმავლობის პრობლემები, კაპიტალური მშენებლობის, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის, საერთაშორისო ცხოვრების საკითხები. დელეგატები გამოთქვამენ მხურვალე რწმენას, რომ დიადი გეგმა რეალურია, შეაქვთ წინადადებანი, რომელთა მიზანია ამ გეგმის უსწრაფესი განხორციელება.

3 თებერვლის დილის სხდომა იხსნება ამხ. **ზ. ტ. სერდიუკის** თავმჯდომარეობით.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. **რ. ი. მალინოვსკის.** საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობის სახელით იგი მგზნებარე საბრძოლო სალამს უძღვნის დელეგატებს. ბედნიერი ვარ მოვახსენო XXI ყრილობას, აცხადებს ამხ. მალინოვსკი, რომ საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა ერთსულოვნად და მთლიანად იწონებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს და სიტყვას აძლევს მშობლიურ პარტიას. საბჭოთა მთავრობასა და მთელ ჩვენს ხალხს, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები ყველაფერს გააკეთებენ. რაც საჭიროა იმისათვის, რომ უზრუნველყონ ჩვენი სამშობლოს მშვიდობა და უშიშროება კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის.

დელეგატები მქუხარე ტაშით ხვდებიან ამ სიტყვებს.

ამხ. მალინოვსკი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის დიად გამარჯვებებზე თავისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სოციალისტური ბანკის ძალების ზრდაზე. იგი მოაგონებს ყრილობას იმპერიალისტთა მისწრაფებებს ძალით შეაჩერონ კაცობრიობის პროგრესი, მათს კურსს მოამზადონ აგრესიული ომი ატომგულის იარაღის გამოყენებით სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

იმპერიალისტები გვემუქრებიან თავიანთი ავიაციის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერებით, განაგრძობს ამხ. მალინოვსკი. ჩვენ შეგვიძლია ამაზე ვუპასუხოთ, რომ ეს ომის უკვე შედარებით მოძველებული საშუალებებია, არის უფრო მრისხანე და უახლესი საშუალებები — საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები. მათ, მართლაც, ვერ შეაჩერებ საჰაერო თავდაცვის ვერავითარი საშუალებით და მათ შეუძლიათ გარდუვალად მიიტანონ კოლოსალური სიმძლავრის წყალბადის ჭურვი დედამიწის ყოველ წერტილში. ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან პირველი ამგვარი რაკეტა ტრიუმფალურად აიჭრა კოსმოსში და ახლა სიამაყით ატარებს საბჭოთა ალამს მზის გარშემო. საბჭოთა სახელმწიფოს რაკეტული ძლიერების კიდევ რა დამამტკიცებელი საბუთია საჭირო! — ამბობს ამხ. მალინოვსკი ყრილობის დელეგატთა ტაშის გრიალში.

ჩვენ, ამბობს ორატორი, სიხარულით ვუკრავთ ტაშს ჩვენს საბჭოთა მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ყველა მუშას, მშრომელებს, რომლებმაც შექმნეს კოსმოსური რაკეტა და შეაიარაღეს საბჭოთა არმია საკონტინენტთაშორისო, კონტინენტალური, დიდი, საშუალო და ახლო სიშორის საბრძოლო ბალისტიკური რაკეტების მთელი სერიით და ტაქტიკური დანიშნულების რაკეტების მთელი ჯგუფით, და უღრმეს მადლობას ვუძღვნით მათ ამისათვის.

ამხ. მალინოვსკი მოაგონებს დელეგატებს ამერიკელ და ინგლისელ მოღვაწეთა აგრესიულ განცხადებებს, რომლებიც ქადაგებენ „პრევენტიულ“ ომს სსრ კავშირის წინააღმდეგ. ხელი მოკლე გაქვთ, ბატონებო! — აცხადებს ორატორი. შემდეგ იგი ეხება აგრესიული წრეების პოლიტიკას, რომლებიც იმედს ამყარებენ დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერზე, ნატოს ბლოკზე, რომელიც აქვეზებს რევანშის მოყვარულთა შავბნელ ზრახვებს. ჩვენ, აცხადებს ამხ. მალინოვსკი, გამოუსწორებელ შეცდომას დავუშვებდით, ოდნავ მაინც რომ უგულებელგვყოო ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განუწყვეტელი განმტკიცების წმიდა მოვალეობა.

რ. ი. მალინოვსკი აღნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური ზრუნვის მეოხებით ჩვენი შეიარაღებული ძალები თავიანთი ტექნიკური აღჭურვილობით, პირადი შემადგენლობის მომზადებით და აღზრდით სავსებით შეესაბამებიან სამხედრო საქმის თანამედროვე მოთხოვნებს.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. მალინოვსკი აცხადებს:

— ეჭვი არ არის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვითს ბაზას, საშუალებას მოგვცემს კიდევ უკეთესად აღვჭურვოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები უახლესი იარაღითა და ტექნიკით.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები იყვნენ და მუდამ იქნებიან საბჭოთა ხალხისა და მისი მეგობრების მშვიდობიანი შრომის საიმედო გუშაგი. საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის საიმედო დასაყრდენი.

ტრიბუნაზეა ამხ. **ფ. რ. კოზლოვი.** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, ამბობს იგი, განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პარტიის ისტორიაში. ამ ყრილობის დიადი მნიშვნელობა განისაზღვრება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ იგი საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში იწყებს ახალ ეტაპს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეტაპს.

კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანის გადაჭრის დიდმნიშვნელოვანი პირობა, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, სახალხო მეურნეობაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფა. როცა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ იმარჯვებს ის, ვისაც აქვს უდიდესი ტექნიკა, ორგანიზებულობა, დისციპლინა და უკეთესი მანქანები.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ნახევარზე მეტი, რაც დასახულია შვიდი წლისათვის, ამბობს ამხ. კოზლოვი, მიღწეულ უნდა იქნას ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ შვიდი წლის განმავლობაში განხორციელდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური ხელახალი შეიარაღება. მას ბევრ შემთხვევაში ნამდვილი ტექნიკური რევოლუციის ხასიათი ექნება. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ ხელახალ შეიარაღებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მანქანათსამშენებლო მრეწველობას.

დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მოწყობილობის მოდერნიზაციას. მთელ რიგ საწარმოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩარხების წარმადობა მოდერნიზაციის შედეგად შეიძლება გადიდდეს 20-30 პროცენტით. ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მეტითაც კი. მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხანა „ფრეზერში“. მაგალითად, მთელი რიგი ჩარხების მოდერნიზაციის მეოხებით მათი წარმადობა ორჯერ-ოთხჯერ გადიდდა. ავტოსატაქტორო. საკისართა, ჩარხსამშენებლო მრეწველობაში, აღნიშნავს ორატორი, დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების ნაკადური მეთოდის ფართოდ დანერგვას. მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარში“ ამ მეთოდის დანერგვის შედეგად შრომის ნაყოფიერება 45-50 პროცენტით გადიდდა.

მანქანათმშენებლების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ამბობს ამხ. კოზლოვი, უფრო პროგრესული ტექნოლოგიისა და სრულყოფილი მოწყობილობის გამოყენება, მანქანების კონსტრუქციის გაუმჯობესება. დეტალების დამუშავებისას ლითონის ნარჩენების მკვეთრად შემცირება. საიდუმლოება როდია, შენიშნავს იგი, რომ ჩვენში ყოველწლიურად ბურუშელად მიდის 4,5 მილიონ ტონაზე მეტი ლითონი და მანქანათსამშენებლო ქარხნები წელიწადში კარგავენ დაახლოებით 25 მილიარდ მანეთს. ეს რომ თავიდან ავიცილოთ, ამისათვის, კერძოდ საჭიროა გავადიდოთ ნამზადის სიზუსტე, მაქსიმალურად შევამციროთ, ხოლო ცალკეულ დეტალებში სავსებით გამოვრიცხოთ მექანიკური დამუშავება.

ეხება რა იმას, რომ საჭიროა ელექტრონიკისა და რადიოტექნიკის შემდგომი განვითარება, ორატორი აღნიშნავს, რომ უიმათოდ წარმატებით ვერ განვითარდება წარმოების ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია. განსაკუთრებით გაიზარდა რადიოელექტრონიკის მნიშვნელობა ნახევარგამტართა გამოყენებასთან დაკავშირებით. რომელთა გამოყენება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ძვირადღირებული ფერადი ლითონების მოხმარება, გავაძლიეროთ ხელსაწყოების საიმედოობა და მუშაობის ეადა. აღნიშნავს რა სწრაფადმოქმედი ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მნიშვნელობას, ფ. რ. კოზლოვს მოჰყავს ასეთი თვალი: კოსმოსური რაკეტის დაპროექტებასთან დაკავშირებული ამოცანის ათი ვარიანტის გადასაწყვეტად ათ მათემატიკოსს კვირაშიბიანი გამომთვლელი მანქანების საშუალებით 7 თვე სჭირდება. ასევე ამოცანის ეს ვარიანტს სწრაფადმოქმედ ელექტრონულ გამომთვლელ მოწყობილობათა საშუალებით ნაკლები რაოდენობის სპეციალისტები ერთ კვირაში წყვეტენ.

ლაპარაკობს რა მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა გაძლიერებაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ შემდგომი ტექნიკური პროგრესის სწრაფ ტემპებს, ორატორი ამბობს, რომ მარტო მიმდინარე წელს მეცნიერების განვითარებისათვის სახელმწიფო 27 მილიარდ მანეთზე მეტს გამოჰყოფს.

ნავთობისა და გაზის მრეწველობის ზრდის გამო, აღნიშნავს ამხ. კოზლოვი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაზის ტურბინების გამოყენებას ნაცვლად ორთქლის ტურბინებისა, გამოანგარიშებულია, რომ 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინების ბლოკურ დანადგარებში ლითონის ხარჯი ერთ კილოვატ სიმძლავრეზე 43 კილოგრამს შეადგენს. ხოლო გაზის ტურბინებში — 24 კილოგრამს.

კომუნისტური პარტია, ამბობს შემდეგ ორატორი, დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს ლენინის ანდერძის განხორციელებას შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდების, როგორც კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში გამარჯვების აუცილებელი პირობის შესახებ. ამასთან, როგორც ლენინი აღნიშნავდა, ჩვენ ჩვენი საბჭოთა მეთოდებით უნდა განვახორციელოთ წინსვლა შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისაკენ.

შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებით საბჭოთა კავშირი კაპიტალისტურ ქვეყნებზე წინ არის. თუ ჩვენს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდება 6-7 პროცენტით, ამერიკის მრეწველობაში იზრდება მხოლოდ ერთნახევარი — ორი პროცენტით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომის ნაყოფიერების დონის მიხედვით საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ ჩამორჩება ამერიკას და ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რათა ამ გადამწყვეტ საქმეში დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

შვიდ წელიწადში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით უნდა გაიზარდოს 45-50 პროცენტით. ეს ამოცანა რომ წარმატებით გადავწყვიტოთ, ჩვენი დონისძიებანი უნდა მოვახმაროთ პარტიის მიერ დასახული პროგრამის — ახალი ტექნიკის დანერგვის. საწარმოო პროცესების კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, მოწყობილობის მოდერნიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის, საწარმოთა სპეციალიზაციის, აგრეთვე შრომის ორგანიზაციის გაუჯობესების პროგრამის განხორციელებას.

შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მუშებისა და საწარმო-ტექნიკური ინტელიგენციის კვალიფიკაციისა და ტექნიკური ცოდნის შემდგომი ამაღლება.

ეხება რა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობას, ორატორი აღნიშნავს, რომ გაანადგურა და თავიდან მოიშორა რა გამთაშველთა და ფრაქციონერთა ჯგუფი, პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი რიგები და კიდევ უფრო მაღლა ასწია მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშა. ამ სახელოვანი და უძლეველი დროშით, ამბობს ამხ. კოზლოვი, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელსაც ლენინური პარტია ხელმძღვანელობს, 1917 წელს მსოფლიო ისტორიის ახალი ერა დაიწყო. ამ დროშით ახლა შევდივართ ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ, უმნიშვნელოვანეს პერიოდში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში.

სიტყვა ეძლევა ამხ. **მ. გ. პერვუხინს.** ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ ის უდიდესი მნიშვნელობა, ამბობს იგი, რომელიც აქვს და ექნება პარტიის XXI ყრილობას ჩვენი ქვეყნისათვის და მთელი საერთაშორისო ცხოვრებისათვის. ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები პარტიის ლენინური გენერალური ხაზის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია.

ასრულებდა რა XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიამ მოკლე ვადებში განახორციელა ისეთი უდიდესი ღონისძიებანი, განაგრძობს ამხ. პერვუხინი, როგორიც არის სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნა, ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებისათვის და ბევრი სხვა რამ. ყოველივე ამას მოჰყვა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი აქტივობის აღმავლობა კომუნისტურ მშენებლობაში, სახელმწიფოს მართვაში.

მაშინ, როცა მთელი ჩვენი პარტია და მთელი ხალხი ჩაებნენ ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებისათვის აქტიურ ბრძოლაში, აცხადებს ამხ. პერვუხინი, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, დაადგა რა ფრაქციული ბრძოლის გზას, ცდილობდა ხელი შეეშალა პარტიის XX ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ვატყობინებ რა ყრილობის დელეგატებს ამ ცნობილ ფაქტებს, ამბობს იგი, გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ პარტიისათვის ამ პასუხსაგებ მომენტში მე დროზე ვერ შევამჩნიე ფრაქციული ჯგუფის ანტიპარტიული შეთქმულებითი ზრახვები.

ორატორი აცხადებს, რომ მან დაგმო და გმობს ამ ჯგუფის ფრაქციულ, გამთიშველ, ანტიპარტიულ საქმიანობას, რომ იგი სავსებით ეთანხმება ამ ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობის შეფასებას, რომელიც მოცემულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში როგორც ამ ყრილობაზე, ისე ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და სხვა პლენუმებზე.

როგორ მოხდა ჩემი შეცდომა? — ამბობს ამხ. პერვუხინი. უპასუხებს რა ამ კითხვაზე, იგი ამბობს, რომ როცა ცენტრალურ კომიტეტში მიმდინარეობდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, მან თავისი ეჭვები და მოსაზრებები გამოთქვა დასახული რეორგანიზაციის ცალკეულ წინადადებათა გამო. ჩემმა არასწორმა პოზიციამ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში, აცხადებს ორატორი, ის გამოიწვია, რომ დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩავიდინე, ანტიპარტიულ ჯგუფს ,,ომ“ დავუჭირე მხარი. იგი ამბობს, რომ წინათ არასოდეს არ გამოსულა იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ახორციელებდა, კერძოდ, სავსებით ეთანხმებოდა წინადადებებს ყამირი მიწების ათვისების შესახებ, საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ.

ამხ. პერვუხინი ამბობს, რომ მადლობას უხდის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც შესაძლებლობა მისცა გამოესყიდა თავისი დანაშაული პარტიის წინაშე.

ვმუშაობ რა ახლა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც სსრ კავშირის ელჩი, უფრო ნათლად ვრწმუნდები, აღნიშნავს ამხ. პერვუხინი, თუ რა ზიანს აყენებდა ანტიპარტიული ჯგუფი საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, აფერხებდა რა მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

პირობას ვაძლევ XXI ყრილობას, ამბობს დასასრულ ამხ. პერვუხინი, რომ ყოველთვის ვიდგები პარტიის ინტერესების სადარაჯოზე, აქტიურად ვიბრძოლებ პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებისათვის.

შემდეგი ორატორი — უმაღლესი განათლების მინისტრი ამხ. **ვ. პ. ელიუტინი** — ლაპარაკობს დიდ წარმატებებზე, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში უმაღლესმა სკოლამ მიაღწია. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად, ხაზგასმით ამბობს იგი, უკანასკნელ წლებში გაფართოვდა ინჟინერთა კადრების მომზადება. თუ ომისწინა 1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოშვებულ იქნა 30 ათასი ინჟინერი, 1958 წელს მომზადდა უკვე 94 ათასი, მაშინ როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1957 წელს მომზადდა სამჯერ ნაკლები.

ინგლისში გამოცემული თეთრი წიგნის მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს განზრახული აქვთ 1964 წელს ინჟინერების გამოშვება შეერთებულ შტატებში აიყვანონ 43 ათასამდე, მაშინ როცა სსრ კავშირში ამავე წელს მომზადებულ იქნება 100 ათასზე მეტი ინჟინერი.

შვიდწლიანი გეგმა კიდევ უფრო დიდ ასპარეზს იძლევა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის, თეორიული კვლევისა და ახალი დიდი აღმოჩენებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში, ამბობს ამხ. ელიუტინი, არის სამეცნიერო დაწესებულებათა სამი ჩამოყალიბებული სისტემა — მეცნიერებათა აკადემიები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საკონსტრუქტორო ბიუროები და, ბოლოს, უმაღლესი სასწავლებლები. ამ სამ სისტემაში მუშაობს მეოთხედ მილიონზე მეტი მეცნიერი, მათგან მარტო უმაღლეს სკოლაში 130 ათასზე მეტი კაცი. უმაღლეს სკოლას აქვს შესაძლებლობა მეცნიერებისათვის შეარჩიოს ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა ადამიანები, უზრუნველყოს გამოცდილ მეცნიერთა ღონისძიებების საუკეთესო შეხამება ახალგაზრდობის ღონისძიებებთან.

დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანების გადაჭრაში უმაღლესი სასწავლებლების ჩაბმისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ელიუტინმა, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის შემდეგ. ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა მეცნიერთა კავშირი საწარმოებთან. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები, რომლებშიც ინსტიტუტების მუშაკებთან ერთად მეცნიერული პრობლემების გადაჭრაზე შრომობენ საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია 190 დიდი პრობლემური ლაბორატორია პირველხარისხოვანი მოწყობილობით. ამჟამად იქმნება 62 ლაბორატორია ქიმიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, აცხადებს დასასრულ ამხ. ელიუტინი, დაგვეხმარება გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადება, კიდევ უფრო განვამტკიცოთ უმაღლესი სკოლის კავშირი ცხოვრებასთან.

ყრილობას მიესალმა ტუნისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ჰოჰამედ ენაფაა.** საბჭოთა ქვეყნის უდიდესი წარმატებები უცილობლად მოწმობს და ბრწყინვალედ დადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ცხოველმყოფელ ძალას, — ამბობს იგი. — თქვენ მოიპოვეთ დიადი გამარჯვება და ამით მსოფლიო მუშათა მოძრაობას და ყველა ხალხს დაუსახეთ ის გზა რომელიც იმპერიალისტებს სამუდამოდ დაბუშულად მიაჩნდათ.

ამხ. ენაფაა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტუნისი ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა უცხოელთა ბატონობისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ყველა ტუნისელი ამაყობს წარმატებებით, რომლებსაც მათ მიაღწიეს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელობით. მაგრამ ჩვენ გვესმის, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მით უფრო, რომ ტუნისის საზღვრებთან გრძელდება ყაჩაღური კოლონიური ომი მოძმე ალჟირელი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენი ხალხი, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. ენაფაა, სულ უფრო ნათლად ხედავს, რომ იგი ვერ მიაღწევს ამ მიზნებს მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყანა ახორციელებს პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს ორიენტაცია იმპერიალისტურ დასავლეთზე. მუშებისათვის, გლეხებისა და ყველა პატიოსანი პატრიოტისათვის სულ უფრო ცხადი ხდება, რომ საჭიროა განამტკიცონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. ეს იმიტომ ხდება, განაგრძობს ორატორი, რომ თქვენი წარმატებები ადასტურებენ ჩვენს სიმართლეს. დახმარება, რომელსაც თქვენ იძლევით თანასწორობისა და სხვა ხალხების სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე, ნამდვილად უწყობს ხელს იმ ქვეყნების დამოუკიდებელი ეკონომიკის განვითარებას, რომელსაც კოლონიალიზმი ჩამორჩენილობას განუზადებდა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. **ო. ვ. კუუსინენს.** მოვისმინეთ რა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, ჩვენ, ყრილობის ყველა დელეგატი, ამბობს ამხ. კუუსინენი, განვიცდით დიდ კმაყოფილებას. ჩვენ აღგვაფოთოვანებს იმის შეგნება, რომ XXI ყრილობა პარტიას დაუსახავს სწორედ იმ პოლიტიკურ ხაზს, რომელიც სავსებით შეესაბამება მომავალი ისტორიული პერიოდის მოთხოვნებს, საშუალებას მისცემს პარტიას მოახდინოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ძალღონის მობილიზაცია დიადი საქმეების განსახორციელებლად. შვიდწლიანი გეგმის ყველა ეკონომიური ამოცანა გაშუქებულია მისწრაფებით მიღწეულ იქნას სოციალისტური საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა ელექტროფიკაციისა და სწრაფად მზარდი ახალი ტექნიკის საფუძველზე.

ახასიათებს რა ეკონომიურ მდგომარეობას კაპიტალის ქვეყნებში, ამხ. კუუსინენი ხაზს უსვამს თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიურ სიძნელეებს ჩვენთან შეჯიბრებაში. აღნიშნავს რა, რომ მეცნიერების უახლესმა მიღწევებმა გზა გაუკაფეს ტექნიკის უმაგალითო პროგრესს, ორატორი ამბობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ შეუძლიათ მთლიანად გამოიყენონ ეს მიღწევები. კაპიტალიზმი, რომელსაც ახასიათებს სიმდიდრის კონცენტრაცია ერთ პოლუსზე და სიღატაკე — მეორეზე, დიდი ხანია უშედეგოდ ცდილობს ჭარბწარმოების პრობლემის გადაჭრას, კაპიტალისტური მონოპოლიები დაინტერესებული არიან არა პროდუქციის გამოშვების გადიდებით, არამედ მხოლოდ ფასების გადიდებით და მოგების მიღებით. ახალი ტექნიკის პროგრესს კაპიტალიზმის დროს გაცილებით ნაკლები გასაქანი ეძლევა ვიდრე სოციალიზმის დროს. სოციალისტური წარმოების მიზანია არა მოგების მიღება, არამედ საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება.

დღეს განსაკუთრებით ცხადია, აღნიშნავს ორატორი, რაოდენ უსაფუძვლო აღმოჩნდა რევიზიონისტ თეორეტიკოსთა მტკიცება, თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმი უკრიზისო განვითარების სტადიაში შევიდა. კაპიტალიზმი არ განთავისუფლებულა კრიზისული კრუნჩხვისაგან. კრიზისები სულ უფრო ხშირი ხდება და მათ არ მოსდევს, როგორც ეს წინათ იყო, წარმოების ძლიერი აღმავლობა. მასობრივი უმუშევრობა სულ უფრო ქრონიკული ხდება.

ეხება რა შვიდწლიანი გეგმის საერთაშორისო მნიშვნელობას, ორატორი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური წარმატებანი წინათაც სერიოზულ ზეგავლენას ახდენდნენ საერთაშორისო ვითარებაზე, მშვიდობისა და პროგრესის ძალების განმტკიცებაზე. შვიდწლიანი გეგმის შესრულებას ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. სოციალისტური ბანკის ქვეყნების ეკონომიური პოტენციალი შვიდი წლის განმავლობაში იმდენად გადიდდება, რომ მათზე თავდასხმა აშკარად უიმედო საქმე გახდება იმპერიალისტებისათვის. განმტკიცდებიან მშვიდობისმოყვარე ძალები. შედეგად შეიქმნება რეალური შესაძლებლობა, ომის როგორც საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის საშუალების, თავიდან აცილებისათვის.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა

(დასასრული)

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს აზიისა და აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხთა ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, აცხადებს შემდეგ ამხ. კუუსინენი, ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის საფუძველს და გულისხმობს თანმიმდევრულ პრინციპულ ბრძოლას რევიზიონიზმისა და ყოველგვარი ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, განაგრძობს ამხ. კუუსინენი, რომ ჩვენს იდეოლოგიურ მუშაობაში უკანასკნელი წლების მანძილზე ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რევიზიონიზმის იუგოსლავური ნაირსახეობის კრიტიკამ, ნაირსახეობისა, რომელიც თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მავნე როლს ასრულებს. ამავე დროს პარტიის გენერალური ხაზი ითვალისწინებს ლენინური თეორიის თანმიმდევრულ დაცვას დოგმატიზმისაგან. რა დასამალავია, რომ ჩვენში ზოგჯერ პროპაგანდისტულ, მეცნიერულ და სამსწავლებლო მუშაობას საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში რამდენადმე ჯერ კიდევ ამძიმებს დოგმატიკური ბალასტი. ამას ხშირად ის წარმოშობს, რომ არა სურთ დამოუკიდებლად იფიქრონ და შეისწავლონ სინამდვილის ახალი ფაქტები. აზრის სიზარმაცეაი ის რბილი სარეცელი, რომელზეც ნებივრობს დოგმატიზმი. პარტიის გენერალური ხაზი მოითხოვს თეორიისა და პრაქტიკის შემოქმედებითს განვითარებას, იგი მოითხოვს ახლის გაბედულ ძიებას. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე გვიჩვენა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარებისა და კონკრეტული ვითარების თავისებურებათა მიმართ მისი უნარიანი გამოყენების მაგალითი. ახლა, მოხსენებაში XXI ყრილობაზე, ამხ. ხრუშჩოვმა ბევრი ნათელი აზრითა და ახალი დებულებით გამამდიდრა ჩვენი თეორია.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველი ახალი პერიოდი ახალი ამოცანების დასახვას მოითხოვს. ეს, როგორც ცნობილია, არამც და არამც არ სურდათ ეღიარებინათ ანტიპარტიული ჯგუფის წევრებს. დარწმუნებული ვარ, თქვა ამხ. კუუსინენმა, რომ არ არის არც ერთი დელეგატი, რომელსაც არ დაეგმოს ანტიპარტიული ჯგუფის წევრები. დარწმუნებული ვარ, რომ არ არის არც ერთი შეგნებული ადამიანი, რომელსაც მიაჩნდეს, რომ ცენტრალური კომიტეტი მეტად მკაცრად მოეპყრო ამ ადამიანებს.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კუუსინენი ლაპარაკობს ჩვენი პარტიის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ ზრდაზე, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებაზე. მტკიცე ინტერნაციონალურ სოლიდარობას მკაფიოდ მოწმობენ ჩვენი დიადი პარტიის XXI ყრილობა და დედამიწის ყველა კონტინენტის მოძმე პარტიების წარმომადგენელთა შესანიშნავი გამოსვლები ამ ტრიბუნიდან.

ბრწყინვალე წარმატებანი ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში, რომლებითაც ჩვენი ქვეყანა მოვიდა სკკპ ისტორიულ XXI ყრილობაზე, ამბობს ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ტ. ულჯაბაევი, მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფისათვის გამოტანილი მკაცრი განაჩენია. მე მიმაჩნია, აცხადებს იგი, რომ სავსებით კანონიერია დაყენება საკითხისა ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილეთა შესახებ, რომელნიც დიდხანს დუმან. ვფიქრობ, მიზანშეწონილი არ არის მათი დატოვება პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში.

დაახასიათა რა შემდეგ ტაჯიკეთის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აყვავება, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ გასულ წლებში, ამხ. ულჯაბაევმა ხაზი გაუსვა, რომ კიდევ უფრო დიდებული პერსპექტივები ისახება რესპუბლიკის წინაშე მომავალ შვიდწლედში. მისი ეკონომიკა უმაგალითო ტემპებით განვითარდება.

რესპუბლიკაში გაჩნდება ქიმიური, მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოები. ცემენტის წარმოება გაიზრდება 18-ჯერ, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია — 2,5-ჯერ და მეტად. ტაჯიკეთი ჩვენი ქვეყნის საფეიქრო საწარმოებს მისცემს ათასობით საქსოვ დაზგას, დამთავრდება მშენებლობა ბამბეულის კომბინატისა, რომელიც წელიწადში დაახლოებით ას მილიონ მეტრ ქსოვილებს გამოუშვებს. დასახულია ფართო მასშტაბით მოეწყოს გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები.

დიდად განვითარდება სოფლის მეურნეობაც. ბამბის, უპირატესად წმინდა ბოჭკოიანი ჯიშების წარმოება უნდა გაიზარდოს 1,3-1,4-ჯერ. გადაწყდა მისი მოსავალი საშუალოდ რესპუბლიკაში ჰექტარზე 27 ცენტნერიდან გადიდდეს 30 ცენტნერამდე. დაახლოებით 1,6-ჯერ გაიზრდება აბრეშუმის პარკის წარმოება, ყურძნის მოსავალი — 3,1-ჯერ.

ამხ. ულჯაბაევი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ ტაჯიკეთში აშენდეს მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რომლის ელექტროენერგიითაც შესაძლებელი იქნება არა მარტო განვითარდეს მრეწველობა, არამედ მოირწყოს აგრეთვე ტაჯიკეთის, სამხრეთ უზბეკეთის და თურქმენეთის ზოგიერთი რაიონის ასეულ ათასობით ჰექტარი ყამირი მიწები.

შვიდწლიან გეგმაში ყოველმა საბჭოთა ადამიანმა დაინახა თავისი ფიქრები და მისწრაფებები, ხაზგასმით აღნიშნავს თავის სიტყვაში სტალინოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. ი. დიადიკი (უკრაინა). საკონტროლო ციფრების განხილვამ ცხადყო, რომ თვითეულ საწარმოს აქვს შვიდწლედის გეგმების არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შესრულების ყველა შესაძლებლობა. ამისათვის საჭირო იქნება ძალების დიდი დაძაბვა, პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის კიდევ უფრო მაღალი დონე, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

ორატორი სტალინოს ეკონომიურ რაიონს ახასიათებს როგორც ისეთს, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს უკრაინაში და ერთ-ერთი პირველი ადგილი საბჭოთა კავშირში მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგების მიხედვით. მაგალითად, კოქსადი ქვანახშირის ამოღების წილი შეადგენს საბჭოთა კავშირში მისი მთელი ამოღების 42 პროცენტს. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შემდეგ დონბასის ბევრი საწარმოსა და მშენებლობის ხელმძღვანელები უფრო კონკრეტულად შეუდგნენ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზების გამონახვას, მატერიალური რესურსების ყაირათიანად გამოყენებას. ამ საკითხებს ახლა უფრო ფართოდ განხილავენ მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქვემოდან ინიციატივის განვითარებას. წარმოიშვა შესანიშნავი ფორმები მშრომელთა შეჯიბრებისა ეკონომიისათვის, პროდუქციის თვითღირებულებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის. დონბასის წარმომადგენელს წინადადება შეაქვს, რომ მეცნიერებმა განაზოგადონ და ანალიზი გაუკეთონ საბალნო მეურნეობის საბჭოების საქმიანობას. ეს დიდ სარგებლობას მოტანდა.

ამხ. დიადიკი აცხადებს, რომ სტალინოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში ათეულ ათასობით ინჟინერი და ტექნიკოსი მუშაობს. მას მიაჩნია, რომ ამ დიდ ძალას მთელ რიგ შემთხვევებში სწორად არ იყენებენ. ბევრ ინჟინერსა და ტექნიკოსს ამუშავებენ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, აგრეთვე სამუშაოებზე, რომლებიც არსებითად იწვევენ ინჟინერთა და ტექნიკოსთა დეკვალიფიკაციას. ამავე დროს სპეციალისტები საჭიროა უწინარეს ყოვლისა სამთო საქმის ძირეული საკითხების კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დამუშავებისათვის, ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე ორგანიზაციის დანერგვისათვის.

აკადემიკოსმა ი. ვ. კურჩატოვმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ენერგიის პრაქტიკულად განუსაზღვრელი წყაროების მიღების მიზნით თერმოატომგულის მართული რეაქციების დაუფლების საკითხებს. იგი ამბობს, რომ ეს მუშაობა ნაკარნახევი არ არის დღევანდელი დღის ამოცანებით. საბჭოთა კავშირი და მსოფლიოს სხვა ქვეყნები მრავალი ათეული წლით უზრუნველყოფილი არიან უკვე დაზვერილი სათბობის რესურსებით. თერმოატომგულის რეაქციების მართვის სქემების შემუშავების ამოცანების დაყენება ნაკარნახევია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვით კაცობრიობის მომავლისათვის, კომუნისტური საზოგადოებისათვის.

თერმოატომგულის რეაქციები, აღნიშნავს აკადემიკოსი, უკვე განახორციელა ადამიანმა. დედამიწაზე თავიანთი მოსვლა ამ რეაქციებმა გვაუწყეს თერმოატომგულის იარაღის საცდელ აფეთქებათა გრიალით. ხუთ წელიწადზე მეტი გავიდა პირველი ასეთი აფეთქების შემდეგ, ხოლო ახალ, სულ უფრო მომაკვდინებელ საჰაერობათა იარაღის შემუშავება და გამოცდა გრძელდება. საბჭოთა მთავრობა ცდილობს შეაჩეროს ეს შეჯიბრება, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ კაცობრიობას. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში ატომგულისა და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ იმ იმედით, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მიბაძავდნენ ამ კეთილშობილურ მაგალითს. მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1958 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში მოახდინეს 50-ზე მეტი საცდელი აფეთქება, და ჩვენი ქვეყანა იძულებული გახდა 1958 წლის შემოდგომაზე განეახლებინა გამოცდა. უნდა ითქვას, აღნიშნავს ი. ვ. კურჩატოვი, რომ ეს გამოცდები დიდი წარმატებით დამთავრდა. ჯამოცდებმა გვიჩვენა მაღალი ეფექტიანობა ზოგიერთი ახალი პრინციპებისა, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა შეიმუშავეს. შედეგად საბჭოთა არმიამ მიიღო კიდევ უფრო მძლავრი, სრულყოფილი, საიმედო, კომპაქტური, უფრო იაფი ატომგულისა და წყალბადის იარაღი.

აკადემიკოსი კურჩატოვი ამბობს, რომ პრესაში მოყვანილი იყო სხვადასხვა მეცნიერის აზრი იმ დროის შესახებ, რომელიც დასჭირდება თერმოატომგულის რეაქციის ენერგეტიკული გამოყენების ამოცანის გადაჭრას. ასახელებდნენ ვადებს: 10, 20, 50 წელს. იბადება კითხვა, რატომ განხორციელდა თერმოატომგულის აფეთქება მალე სამუშაოების დაწყების შემდეგ, ხოლო თერმოატომგულის მართული რეაქციისათვის ასახელებენ ასე დიდ ვადებს, თუმცა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე ფიზიკური პროცესი ხდება.

აქ საქმე ის არის, რომ თერმოატომგულის რეაქციების განხორციელება მოითხოვს განსაკუთრებით მაღალ ტემპერატურებს, რომლებიც ათობით და ასობით მილიონი გრადუსითაც კი განიზომება. თერმოატომგულის აფეთქების დროს ასეთ ტემპერატურას ატომური ბომბის აფეთქების საშუალებით აღწევენ მხოლოდ უმცირესი დროის განმავლობაში, რომელიც წამის მემილიონედ ნაწილზე ნაკლებია.

ამ პირობებში საჭირო არ არის განსაკუთრებით ვიზრუნოთ იმაზე, რომ ნივთიერება არ დაიფანტოს, არ აორთქლდეს, არ გაცივდეს, რადგან, სანამ ეს მოხდებოდეს, მოესწრება ატომგულის საჭირო გარდაქმნა და აფეთქების ენერგიის გამოყოფა. სულ სხვანაირი გარემოებები იქმნება მშვიდად მიმდინარე თერმოატომგულის რეაქციებისათვის. აქ საჭიროა თანდათან გავახუროთ უაღრესად მაღალ ტემპერატურებამდე, შევინარჩუნოთ და თერმულად განვამხოლოოთ ხანგრძლივი დროით ნივთიერება გარემოსაგან. ეს უაღრესად რთული მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანაა.

ვამთავრებ რა გამოსვლას, ამბობს ი. ვ. კურჩატოვი, მე ვერ გავბედავ ვიწინასწარმეტყველო, რა ვადებში განხორციელდება თერმოატომგულის მართული რეაქცია. მაგრამ მინდა პირობა მივცე ყრილობის დელეგატებს, რომ საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები და ტექნიკოსები, რომლებიც თერმოატომგულის ენერგეტიკის დარგში მუშაობენ, ყველაფერს გააკეთებენ, რაც მათზეა დამოკიდებული, ამ უმნიშვნელოვანესი მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემის გადასაჭრელად.

ამხ. კურჩატოვის გამოსვლით დამთავრდა დილის სხდომა. (საკდესი).

პარტიისა და ხალხის ერთიანობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXI ყრილობით, საქართველოს დედაქალაქში მიმდინარეობს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები. ისინი ცხადყოფენ კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის მშრომელები ასახელებენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის საუკეთესო წარმომადგენლებს.

სადღესასწაულოდ მორთულია თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის კლუბი. აქ წინასაარჩევნო კრებაზე მოვიდნენ ამ საწარმოს მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები, მოსამსახურეები. სანამ კრება არ დაწყებულა, ისინი გაცხოველებით საუბრობენ. ფაბრიკის კოლექტივის ფიქრი და თვალი მიპყრობილია ამჟამად ჩვენი დიდი სამშობლოს დელეგაციას მოსკოვისადმი, ეაღარა კრემლისადმი, სადაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დელეგატები განიხილავენ შვიდწლედის გრანდიოზულ პერსპექტივებს.

წინასაარჩევნო კრებას ხსნის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ბეგლარაოვა. იგი სიტყვას აძლევს ფაბრიკის დირექტორს მ. ავალიანს.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივი, — ამბობს ამხ. ავალიანი, — კარგად იცნობს მკერავს ბელაგია ილარიონის ასულ ბიბილაშვილს. თვრამეტ წელზე მეტია, რაც იგი მუშაობს ჩვენს საწარმოში. დაუღალავი შრომით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით ამ თავმდაბალმა მშრომელმა დაიმსახურა მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა. ოთხი წლის წინათ ჩვენი ოლქის ამომრჩევლებმა დიდი პატივი დასდეს ბელაგია ილარიონის ასულს და იგი აირჩიეს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატად. ეს ნდობა მან ღირსეულად გაამართლა. ნება მიბოძეთ, თქვენი სახელით კვლავ დავასახელო უპარტიო მუშა, მოწინავე მკერავი ამხანაგი ბელაგია ილარიონის ასული ბიბილაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — პირველი მაისის № 36 საარჩევნო ოლქში.

ზედიზედ ადიან ორატორები ტრიბუნაზე. დიდი გულთბილობით და პატივისცემით ლაპარაკობენ ფაბრიკის ძველ კადრის მუშაზე მკერავები გ. გორგაშვილი, ე. ცხენოსნიძე, გ. ნიკოლაიშვილი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. დეკანოსიძე.

წინასაარჩევნო კრება ერთსულოვნად იღებს გადაწყვეტილებას — ამხ. ბ. ი. ბიბილაშვილის კანდიდატურა დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — პირველი მაისის № 36 საარჩევნო ოლქში.

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა თბილისის მაკარონის ფაბრიკის კლუბში. კრებაზე გამოსულმა ფაბრიკის დირექტორმა დ. ჩრდილელმა ფაბრიკის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების სახელით შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ისნის № 58 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას მოწინავე მუშა, მწნეხელი ამხანაგი ალექსანდრა თევდორეს ასული კენჭაძე. დასახელებულ კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დამფასოებელმა ე. კოპალიანცმა, დასაფასოებელი საამქროს ბრიგადირმა თ. კოკანაძემ, ინჟინერმა მ. მკრტჩიანმა.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება — ამხ. ა. თ. კენჭაძის კანდიდატურა დასახელებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — ისნის № 58 საარჩევნო ოლქში.

კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების წინასაარჩევნო კრება კრებსა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ პ. ციცხვაიამ. შემდეგ გამოსულმა კამეოლის წარმოების ოსტატის თანაშემწემ ა. ანდღულაძემ შეიტანა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — დიდუბის № 10 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნას კომბინატის უპარტიო მუშა ამხანაგი ნინო ვლადიმერის ასული ჩანჩიბაძე.

ამხ. ჩანჩიბაძის კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ოსტატის თანაშემწემ ს. რიბაკოვმა, ნუნამდელმა მ. არეშიძემ, საწარმოო სწავლების ინსტრუქტორმა ვ. ჯოხაძემ.

წინასაარჩევნო კრებამ გადაწყვიტა — ამხ. ნ. ვ. ჩანჩიბაძე დასახელებულ იქნას კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — დიდუბის № 10 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

პატარა სოფლის დიდი პერსპექტივები

გორაკებს შუა ლამაზად ჩამწკრივებულან უმთავრესად ახლადნაგები ქვიტკირის სახლები. ამ მიდამოებში ზამთარ-ზაფხულს ჩრდილო-დასავლეთიდან საამო სიო უბერავს, ნალექებიც საკმაოდ მოდის. ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს ლისელ კოლმეურნეებს მოიყვანონ ხორბლის, ქერის, ბოსტნეულის, ხილის და ყურძნის კარგი მოსავალი. ყველა პირობაა მეცხოველეობის განვითარებისათვის.

— მაშ რა იყო მიზეზი, — ამბობს თავის საანგარიშო მოხსენებაში სამგორის რაიონის სოფელ ლისის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ბერიძე, — რომ წინა წლებში მარცვლეულის ცუდი მოსავალი მოდიოდა, უმნიშვნელო იყო შრომადღის ხვედრი? უწინარეს ყოვლისა ეს აიხსნება მიწების უხეიროდ დამუშავებით, აგროღონისძიებების უგულებელყოფით, დისციპლინის შესუსტებით.

— მართალია, — თქვა მომხსენებელმა, — ლისს პატარა სოფელს ეძახიან, სულ 190 კომლი ცხოვრობს, რვაასამდე წევრით, მაგრამ იგი თანდათან იზრდება, ფართოვდება, წინ მიდის. ახალ შვიდწლედში კი დიდებული პერსპექტივებია გადაშლილი ჩვენი სოფლის წინაშე. თუ წინა წლებში ხორბლის მოსავლიანობა 2-3 ცენტნერს არ აღემატებოდა, შარშან კოლმეურნეებმა უკვე იმუშავეს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 7 ცენტნერამდე ხორბალი, 9 ცენტნერამდე ქერი, სიმინდის მოსავალმა კი კვლავ გვიმტყუნა — ჰექტარზე მიღებულია 6 ცენტნერი.

გასული წლის შედეგებით ლისელები პირველად იღებენ თვითეულ შრომადღეზე 3 კილოგრამ მარცვლეულს, აგრეთვე გასცემენ ღვინოს, ყველს და სხვა პროდუქტებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ ეს მიღწევები მაინც მკრთალად მოჩანან, უკეთესად შეგვეძლო გვემუშავნა. კოლმეურნეობის გამგეობა მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა. მოწესრიგებული არ იყო შრომა. შარშან არასაპატიო მიზეზით შრომაში მონაწილეობა არ მიუღია 38 შრომისუნარიან წევრს. ზოგიერთი ოჯახი ფიქციურად გაიყო და ზედმეტად ფლობდა ნაკვეთებს, იყო მიწების მიტაცებისა და თვითნებურად დამუშავების ფაქტები. ასეთი მდგომარეობა მთლიანად როდია აღმოფხვრილი.

შარშან კოლმეურნეობაში სამუშაოდ არ მოსულა საშუალო სკოლის ან შვიდწლედის კურსდამთავრებული არც ერთი ახალგაზრდა.

კარგი საქმე გაკეთდა სოფელში ელექტროსინათლის გამოყვანით, მაგრამ ლისელებს დღემდე არა აქვთ რადიოკვანძი. მართალია, წინა წლებში თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა 500 ლიტრს არ აღემატებოდა, ხოლო გასულ წელს 688 კილოგრამს მიაღწია, მაგრამ გეგმა მაინც შეუსრულებელი დარჩა. ამის მიზეზია პირუტყვის მოვლა-პატრონობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა.

კრების მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ვ. ლელუაშვილის მოხსენებამ, რომელიც ზერელე იყო და თითქმის იმასვე იმეორებდა, რაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავის მოხსენებაში მოიყვანა. რევიზიები რეგულარულად არ ეწყობოდა, ხოლო გაწეული მუშაობაც ქმედითი ვერ იყო.

საანგარიშო მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მეცხოველეობის ბრიგადირმა გ. არაქელოვმა აღიარა, რომ მთელი მონდომებით როდი იმუშავეს და ჩამორჩენაც ამით აიხსნება. მან პირობა დადო წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 1.200 კილოგრამზე მეტი რძე.

კამათის მონაწილეებმა დ. ხუხუნიამ, ა. სოზიაშვილმა, ა. მერაბოვმა, ვ. კობაიძემ, ბ. ნერსესოვმა, მარიამ წენგუაშვილმა და სხვებმა ილაპარაკეს ტექნიკის უკეთესად გამოყენებაზე, ძროხების ბერწიანობის აღმოფხვრის ღონისძიებებზე და სხვა ამოცანებზე, რომლებიც შვიდწლედის პირველ წელს დგას.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის სამგორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა. მან ილაპარაკა მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებებზე.

კრებამ დასახა ღონისძიებები შვიდწლედის პირველ წელს ყველა დარგში აღმავლობის მისაღწევად, პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული შვიდწლიანი პროგრამის შესასრულებლად.

წელს უხვი მოსავლის მისაღებად ლისელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვიეს ტაბახმელელი კოლმეურნეები.

ნ. ჯანჯღავა.

წლები და ციფრები

ხუთი წლის წინათ

ამ დღეს ახალციხის რაიონის სოფელ აწყურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე 1958 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს განიხილავდნენ. მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ფართოდ ლაპარაკობდნენ განვლილ ხუთწლედში კოლმეურნეობის ცხოვრებაში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებზე.

— როცა 1953 წლის მუშაობის შედეგებზე ვმსჯელობდით, — თითქმის ერთხმად აღნიშნავდნენ ისინი, — ვვრცხვენოდა დაგვესახელებინა ციფრები, რადგან არაასახარბიელო იყო. მაშინ საშუალოდ ჰექტარზე 6.2 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი მივიღეთ, გეგმა კი 9 ცენტნერი იყო. 90-ის ნაცვლად ჰექტარზე მივიღეთ 49 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო ხილი — 6,3 ცენტნერი. არ შეგვისრულებია აგრეთვე გაზაფხულის ქერისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 217 კილოგრამი რძე, რომ იტყვიან, სათქმელადაც არა ღირდა.

გარდატეხის პერიოდი

მას შემდეგ ხუთი წელი გავიდა, მაგრამ ეს დრო საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისა და სერიოზული გარდატეხის პერიოდია.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებმა მთელი საკოლმეურნეო ძალები აამოქმედა. გადაჭარბებით შესრულდა ხორბლის, სიმინდისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმები. 14 ჰექტარით გაიზარდა ბაღების ფართობი. შარშან ჰექტარზე მიღებულია 43 ცენტნერი ხილი გეგმით გათვალისწინებული 40 ცენტნერის ნაცვლად. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 4-ჯერ მეტი ხილი, სამჯერ მეტი ხორცი, 4,5-ჯერ მეტი რძე, ვიდრე 1953 წელს.

შარშან თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღეს 1.432 კილოგრამი რძე, ამ მაჩვენებლებით ხუთი წლის წინათ ყველაზე ჩამორჩენილმა კოლმეურნეობამ რაიონში პირველი ადგილი დაიკავა. ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აქ აწარმოეს 134 ცენტნერი რძე — 6-ჯერ მეტი. ვიდრე 1953 წელს. ორმაგად გაიზარდა ხორცის წარმოება, 8-ჯერ — არტელის ფულადი შემოსავალი, რომელმაც მილიონ ნახევარს გადააჭარბა. შრომადღეზე განაწილდა 2 კილოგრამამდე მარცვლეული, ერთი კილოგრამი კარტოფილი და 7 მანეთი ფული.

ამხილეს ნაალოვანებანი

შეაჯამეს რა გაწეული სამეურნეო მუშაობის შედეგები, მომხსენებელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. გაჩეჩილაძემ, კოლმეურნეებმა მ. მუმლაძემ, შ. ლაბაძემ, ე. ღონდაძემ, ე. ჩუბინიძემ და სხვებმა ილაპარაკეს აგრეთვე არტელის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

— ჩვენთან, — აღნიშნეს მათ, — ჯერ კიდევ ძვირი ჯდება პროდუქციის ერთეულის წარმოება. განსაკუთრებით ძვირი გვიჯდება ხორცისა და რძის წარმოება.

ამ საკითხზე კოლმეურნეებს აქვთ თავიანთი აზრი. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ იყენებენ მეცხოველეობის განვითარების ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას, ფერმები არ არის მექანიზებული, ყურადღება არ ექცევა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას.

მომავლის პერსპექტივები

კოლმეურნეები დიდი ინტერესით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, თუ რას გააკეთებენ მომავალ შვიდწლედში.

— 1965 წლისათვის 80 ჰექტარამდე ავიყვანთ ხეხილის ბაღების საერთო ფართობს, თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანთ სულ ცოტა 100 ცენტნერ ხილს, მარცვლეულის მოსავალს ჰექტარზე გავზრდით 30 ცენტნერამდე, პირუტყვის კარგი მოვლისა და ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით თვითეული ძროხის წველადობას ავიყვანთ 3 ათას კილოგრამამდე, ყოველ 100 ჰექტარ სავარგულებზე წელს ვაწარმოებთ 300 ცენტნერ რძეს, 170 ცენტნერ ხორცს.

დიდი გეგმებია დასახული აგრეთვე სოფლის კეთილმოწყობისა და კულტურული მშენებლობის დარგში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ არტელის გამგეობის თავმჯდომარედ კვლავ ამხ. ვ. გაჩეჩილაძე აირჩია.

ჰ. ხვადაქე,
რ. პაპიძე.

გაზეთების ფურცლებზე

პარტიული პროპაგანდა ახალი ამოცანების დონეზე

შვიდწლიანი გეგმა, რომელსაც პარტიის XXI ყრილობა განიხილავს, უდიდეს ამოცანებს, ფართო პერსპექტივებს უსახავს საბჭოთა ხალხს. კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელება მოითხოვს პარტიული პროპაგანდის შემდგომ გაუმჯობესებას, მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერებას.

სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულია იდეოლოგიური მუშაობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე — ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეტაპზე. სწორედ ამ ამოცანების გაშუქებას მიუძღვნა მთელი ნომერი მახარაძის რაიონული გაზეთის „ლენინის დროშის“ რედაქციამ. მოწინავე წერილში „პარტიული პროპაგანდა თანამედროვე ეტაპზე“ მოთხრობილია იმ დიდ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდის კიდევ უფრო მაღალ დონეზე აყვანისათვის, ყურადღება გამახვილებულია ახალ ამოცანებზე.

პროპაგანდისტთა, ლექტორთა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა სარტყერესო, შინაარსიანი წერილები და კორესპონდენციებია დაბეჭდილი გაზეთის მეორე და მესამე გვერდებზე. მათ წამძღვარებული აქვთ საერთო სათაური „პარტიული პროპაგანდა — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის დიადი ამოცანების დონეზე“.

შარშან სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირებმა და მერგოლურებმა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შესწავლას მოკიდეს ხელი. პროპაგანდისტი რ. მესხია უნარიანად აკავშირებს თეორიას პრაქტიკასთან. წერეში მიღებული ცოდნა ბრიგადირებსა და მერგოლურებს ეხმარება იმაში, რომ უფრო ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, წარმატებით უხელმძღვანელონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს. ყოველივე ამის შესახებ დამაჯერებლად არის მოთხრობილი თ. სალუქვაძის წერილში „ცოცხალი საქმე“.

გაზეთის მკითხველებს პროპაგანდისტული მუშაობის თავიანთ გამოცდილებაზე უამბობენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი ვ. სიხარულიძე, სემინარის ხელმძღვანელი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. კოკნაველიძე, ლექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ი. შეწირული.

„შვიდწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, — წერს ა. კოკნაველიძე. — დიდი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, თუ როგორ განვსაზღვროთ შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებში. ჩვენი ხეშინარის მორიგი მეცადინეობა სწორედ ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა“. ავტორი დ

ყოველი მხრიდან

მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

მშვიდობის დოკუმენტი

აღმაფრთოვანებელი პერსპექტივები

კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა

პეკინი, 2 თებერვალი. (საკადესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა კვლავ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრესის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები ყოველდღე აქვეყნებენ დაწვრილებით ანგარიშს ყრილობის მუშაობის შესახებ, უძღვნიან მას სტატიებსა და სხვა მასალებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა, წერს დღეს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო“, მსოფლიო მნიშვნელობის დიდი მოვლენაა.

ეს ყრილობა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მოასწავებს საბჭოთა კავშირის გადასვლას ახალ, ისტორიულ ეტაპზე, კომუნისტური საზოგადოების გამლილი მშენებლობის ეტაპზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ციფრები, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე განიხილავენ, განაგრძობს გაზეთი, გვიხატავენ კომუნისტური ხვალინდელი დღის სურათს, მოასწავებენ საბჭოთა ხალხის უფრო ბედნიერ და მშვენიერ მომავალს. ამ გეგმის შესრულება შექმნის კომუნიზმში საბჭოთა კავშირის გადასვლის მტკიცე მატერიალურ და სულიერ ბაზას.

აღნიშნავს რა სსრ კავშირის შვიდწლიანი გეგმის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას, „ჟენმინ ჟიბაო“ წერს, რომ მთელი მსოფლიოს ხალხებს საბჭოთა კავშირის დღევანდელი დღე მიაჩნიათ თავიანთ ხვალინდელ დღედ, აღფრთოვანებასა და რწმენას იძენენ საბჭოთა ხალხის ისტორიულ წარმატებებში. გეგმა თავისთავად, აღნიშნავს გაზეთი, შეიცავს ბევრ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია კომუნისტური მშენებლობის ყოველმხრივ გაშლასთან, რომელთა გამოვლინება და გადაჭრა გარდუვალად უფრო გაამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურს, გახდება ნიმუში და სხვა ქვეყნების ხალხებს მისცემს კომუნიზმისაკენ შემდგომი მოძრაობის გამოცდილებას. საბჭოთა ეკონომიკის ძლიერება და მშვიდობიანი მიზნები, რომლებსაც შვიდწლიანი გეგმა ცხადყოფს, ამ გეგმას აქცევს მშვიდობის დაცვის ძლავრ ფაქტორად. ეს, აღნიშნავს „ჟენმინ ჟიბაო“, არის, აგრეთვე დიდი მხარდაჭერა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, დემოკრატიის, თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ბერლინი, 2 თებერვალი. (საკადესი). ბერლინის დემოკრატიული პრესა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიო ყოველდღე აუწყებენ ყრილობის მუშაობას. ბერლინის დღეს გამოსული გაზეთები „ნოიეს დოიჩლანდი“, „ტრიბუნე“ და „იუნგე ველტი“ აქვეყნებენ ყრილობის დელეგატებისა და სტუმრების სიტყვების შინაარსს, ათავსებენ მრავალ ფოტოსურათს.

მასალებს ყრილობის შესახებ „ნოიეს დოიჩლანდი“ აქვეყნებს დიდი სათაურით: „XXI პარტყრილობა საერთაშორისო მოვლენების ცენტრშია“. ამ დღეებში, წერს გაზეთი, ჩვენ ვფიქრობთ ბედნიერ პერსპექტივებზე, რომლებსაც სსრ კავშირი უსახავს სოციალისტურ ბანაკსა და მთელ კაცობრიობას XXI ყრილობის გრანდიოზული პროგრამით. ჩვენს თვალწინ ისახება ომის საშინელებისაგან კაცობრიობის საბოლოოდ განთავისუფლების რეალური შესაძლებლობა. სოციალიზმის იდეებისა და საქმეების დიდი ძალა იპყრობს ხალხთა გულს.

გაზეთი „ტრიბუნე“ სათაურით „აღმაფრთოვანებელი პერსპექტივა“ წერს ლენინისეულ იდეებზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ციფრები, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე განიხილავენ, განაგრძობს გაზეთი, გვიხატავენ კომუნისტური ხვალინდელი დღის სურათს, მოასწავებენ საბჭოთა ხალხის უფრო ბედნიერ და მშვენიერ მომავალს. ამ გეგმის შესრულება შექმნის კომუნიზმში საბჭოთა კავშირის გადასვლის მტკიცე მატერიალურ და სულიერ ბაზას.

„ნეპსაკაბ“ ყრილობის მასალებს წაუმძღვარა სათაური: „შვიდწლიანი გეგმა კომუნიზმის მშენებლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამაა“.

დელი, 3 თებერვალი. (საკადესი). „ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე მშვიდობის დოკუმენტია“, — ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობასადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „სვადჰინატა“.

საბჭოთა კავშირმა, აღნიშნავს გაზეთი „დაიწყო ტრიუმფალური მარში კომუნიზმის გზაზე და საბჭოთა ხალხი მტკიცედ მოითხოვს, რომ თავიდან აცილებულ იქნას ომი და საბრედრო დაძაბულობა. სწორედ ამიტომ მას სურს დაუყოვნებლივ დემოკრატიულად გადაიჭრას გერმანიის პრობლემა. ახორციელებს რა აქტიურ და მტკიცე მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, საბჭოთა ხალხმა ბრძოლაში გამოიწვია იმპერიალისტები გერმანიის პრობლემის გადაჭრის საქმეში“.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 300 ათასი კაცით ამასწინანდელ შემცირებას და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების რიცხვის არა ერთი ცალმხრივი შემცირება აგრეთვე მშვიდობის მოყვარული პოლიტიკის გამოხატულებაა.

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკადესი). სან-ფრანცისკოს გაზეთი „ქრონიკლი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ეკონომიური განვითარების გრანდიოზული გეგმების შესრულება, რის შედეგად სსრ კავშირი გაუსწრებს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ, ეჭვი არ არის მარქსისტულ-ლენინური სისტემის მხარეზე მიიზიდავს ახალ მომხრეებს. გაზეთი დასძენს, რომ არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია ისე ცხადად განსაზღვროს თავისი ეკონომიური მიზნები, როგორც ეს შეუძლია სოციალისტურ ქვეყანას. გამოთქვამს რა შეშფოთებას იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური შეჯიბრება არ მიმდინარეობს შეერთებული შტატების სასარგებლოდ, „ქრონიკლი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე „გრძნობენ, რომ მეტოქე მათ ეწევა“.

ბაღდადი, 3 თებერვალი. (საკადესი). გაზეთი „არ-რაი ალ-ამი“ სტატიაში სათაურით „საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა“, კომენტარს უკეთებს რა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე, აუფრდღეებს თან ამ ნაწილს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის იდეოლოგიურ უთანხმოებაზე. მიუხედავად ამ უთანხმოებისა, წერს გაზეთი, „საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას აქვთ საერთო მიზნები, რომლებიც აერთიანებენ მათ თვალსაზრისებს და ხელს უწყობენ მათ თანამშრომლობას. ეს მიზნებია ერთობლივი ბრძოლა საერთაშორისო იმპერიალიზმის, მისი შეთქმულებებისა და გეგმების წინააღმდეგ...“

საბჭოთა კავშირს, აღნიშნავს გაზეთი, სურს წინააღმდეგობა გაუწიოს „იმპერიალისტების გამალებულ მისწრაფებას აღადგინონ თავიანთი გავლენა შუა აღმოსავლეთის განთავისუფლებულ ქვეყნებში. ასეთი პოლიტიკა ემთხვევა პოლიტიკას, რომელსაც მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები ახორციელებენ და რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლენინმა...“

ინდირა განდი არჩეულია პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ

დელი, 3 თებერვალი. (საკადესი). ინდირა განდი, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი, არჩეულია მმართველი პარტიის ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარედ. იგი ამ პოსტზე იქნება პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევამდე, რომელიც გაიმართება 1960 წლის იანვარში.

„ადენაუერი ქრისტიან დემოკრატთა პარტიის ლიდერია, თითქოს იგი უნდა ხელმძღვანელობდეს ხახარების მოძღვრებით, რომელზეც ასე უყვართ ლაპარაკი მის პარტიაში. (სიცილი დარბაზში). ნამდვილად კი ამ „ქრისტიანს“ ცალ ხელში ჯვარი უჭირავს, მეორით კი სურს ატომური ბომბი აიღოს“.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან სკკპ XXI ყრილობაზე).

* * *

ჯვარს შეფარებული ნახატი ს. ჩისტიაკოვისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

ამბები ადგილებიდან

კეთილმოწყობილი კლუბი მეშუახტეებს

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტში საექსპლოატაციოდ გადაეცა კლუბის შენობა. პირველ სართულზე მოწყობილია დარბაზი და ფოტოლაბორატორია. მეორე სართულის ოთხი ოთახი განკუთვნილია თვითმოქმედი წრეებისათვის. ცალ-ცალკე ოთახი დაეთმო მომღერალთა გუნდს, დრამატულ კოლექტივს, სასულე ორკესტრსა და მუსიკის შემსწავლელ იმ წრეს, რომელშიც მეშახტეთა ბავშვები არიან გაერთიანებული. კლუბში მოთავსდება მდიდარი ბიბლიოთეკა. მას ეკნება ფართო სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი. (საკ. კორ.).

თელაველები ტელეგადაცემებს ილებენ

თელავის რაიონის მშრომელებმა ახალი, საუკეთესო საჩუქარი მიიღეს. წინანდალში დაიდგა და ამუშავდა სატელევიზიო რეტრანსლატორი. აქ წარმოებს თბილისის სატელევიზიო გადაცემების მიღება. რეტრანსლატორის დადგმით შესაძლებელი გახდა რაიონის ცენტრსა და სოფლებში ტელეგადაცემათა მიღება. თელავსა და რაიონის სოფლებში უკვე შეძენილი აქვთ ასამდე ტელევიზორი. მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. (საკ. კორ.).

ახალი კინოთეატრი

წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კომუნალური განყოფილების სარემონტო-სამშენებლო კანტორამ რაიონის ცენტრში ააგო კინოთეატრის შენობა, რომელზეც ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი დაეხარჯა. კინოთეატრის ეზოში აწყობენ დეკორაციულ ბაღს. (საკ. კორ.).

ფულადი პრემია

ბორჯომის სატყეო მეურნეობის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, კარგი მაჩვენებლები დაასრულა გასული 1958 წელი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სატყეო მეურნეობის მთავარმა სამმართველომ გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის 12.000 მანეთით დაჯილდოვა ბორჯომის სატყეო მეურნეობის მუშაკები. ჯილდოს პასუხად ახალი ვალდებულებები აიღეს მეურნეობის მუშაკებმა ა. გოცირიძემ, ჯ. რუსაშვილმა, ნ. გელაშვილმა, კ. სტეფნაძემ, რ. ცერცვაძემ და სხვებმა. („კომ“. კორ.).

600-კილოგრამიანი თევზი



ფოთი. (საკ. კორ.). ფოთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „კოლხიდის“ იმ ბრიგადის 12 წევრი, რომელსაც ნ. ჩიქობავა ხელმძღვანელობს, ამას წინათ ნათევზაოდ გავიდა მღელვარე ზღვაში. მეთევზეთა მოტორიანი ნავი ზღვის ბადით მიადგა ანაკლიის („ზუგდიდის რაიონი) ნაპირებს, სადაც ბადეში გაეგება იშვიათი სიდიდის თევზი სვია („ბელუგა“). ახალგაზრდა მეთევზეებს ბევრი შრომა დასჭირდათ თევზის მოსათვინიერებლად. იგი მოხერხებულად გაახვიეს ბადეში და კატერის დახმარებით მიიტანეს ფოთის თევზკომბინატის ანაკლიის პუნქტამდე.

სვიის სიგრძე 4 მეტრი და 80 სანტიმეტრი იყო, ხოლო მისი სუფთა წონა 600 კილოგრამს აღემატებოდა.

სურათზე: ფოთის თევზკომბინატის სამჭრელ ჯამგე ო. ოდებაშოღლი (მარცხნიდან) ულოცავს ბრიგადირ ნ. ჩიქობავას სვიის დაჭერას.

ქალა მეგობროობაშია

მტკიცე მეგობრობით არიან დაკავშირებული საქართველოსა და სომხეთის ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივები. უკვე რამდენიმე წელიწადია ერთმანეთს ეჯიბრებიან თბილისის კიროვის სახელობისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნების კოლექტივები. 1958 წლის დეკემბერში კიროველებთან ჩამოვიდნენ მათი ერევნელი მეგობრები.

ძერჟინსკელები იყვნენ კიროვის სახელობის ქარხნის საამქროებში, საქმიანი საუბარი ჰქონდათ მუშებთან და სპეციალისტებთან, დაწვრილებით გაეცნენ ჩარხების წარმოების პროცესებს.

შეჯიბრების შედეგებმა ცხადყო, რომ ორივე კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სამამულო ჩარხშენებლობის დარგში.

ამას წინათ ლენინაკანში სტუმრად იყო თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დელეგაცია. მოძმე საქართველოს მეტრიკოტაჟეები იყვნენ ლენინაკანის საფეიჭრო კომბინატში, დაათვალიერეს ქალის წინდის ფაბრიკა, გაეცნენ ქალაქის ახალშენებლობებსა და ღირსშესანიშნაობებს. თბილისისა და ლენინაკანის მეტრიკოტაჟეებმა გადაწყვიტეს შეეჯიბრონ ერთმანეთს გეგმების ყველა მაჩვენებლის ვადამდე შესრულებისათვის.

— ჩვენი ძალა მეგობრობაშია, — ასე ამბობენ წარმოების მუშაკები.

და ამ მეგობრობის დროშით სულ უფრო მძლავრად ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ორი მოძმე რესპუბლიკის — საქართველოსა და სომხეთის ბევრი საწარმოს კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ ახალი საწარმოო წარმატებებით აღნიშნონ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა.

ს. გრიგორიანი.

ქ. ერევანი.

თვითმოქმედ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო 1959 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აწყობს თვითმოქმედ შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსს.

კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების მასობრივ განვითარებას, ხალხური შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონის შემდგომ ამაღლებას, მის პოპულარიზაციას, საუკეთესო შემსრულებელთა გამოვლინებას და დოსტატებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიული კავშირების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, უმაღლესი და სპეციალური სასწავლებლების შემდერლებს (სოლო, დუეტი, ტრიო, კვარტეტი, სექტეტი, სეპტეტი, ოქტეტი), მუსიკალურ საკრავებზე შემსრულებლებს (ფანდური, ჩონგური, ჩანგი, სალამური, გუდასტვირი, დუდუკი, ჭიანური, აფხაირცა), ხალხურ მოლექსეებს, მოშაირეებს, მთქმელებს.

კონკურსში მონაწილე მხატვრული ჯგუფის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 8 კაცს.

კონკურსში გამარჯვებულ საუკეთესო შემსრულებელთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

მომღერლებისათვის

პირველი პრემია — ერთი — 3.000 მანეთი
მეორე პრემია — ორი — 2.000 მანეთი
მესამე პრემია — სამი — 1.000 მანეთი
წამახალისებელი პრემია — სამი — 500 მანეთი

ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე შემსრულებლებისათვის

პირველი პრემია — ერთი — 3.000 მანეთი
მეორე პრემია — ორი — 2.000 მანეთი
მესამე პრემია — სამი — 1.000 მანეთი
წამახალისებელი პრემია — სამი — 500 მანეთი

ხალხური მოლექსეების, მთქმელებისა და მოშაირეებისათვის

პირველი პრემია — ერთი — 1.500 მანეთი
მეორე პრემია — ორი — 1.000 მანეთი
მესამე პრემია — სამი — 700 მანეთი

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად. პირველი ტური სარაიონო, საქალაქო, საოლქო ცენტრებში 1959 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე. მეორე ტური თბილისში 1959 წლის ოქტომბერში.

მხატვრული ჯგუფებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რეპერტუარი უნდა შეიცავდეს ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორებისა და მწერლების მიერ თანამედროვე თემებზე შექმნილ ნაწარმოებებს.

„საქართველოს ეკონომისტი“ №1

გამოვიდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ 1959 წლის პირველი ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია შემდეგი მასალები: ვ. მელაძე — ვ. ი. ლენინი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შესახებ; ი. ბაჯაძე — სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კავშირურთიერთობისათვის; ნ. გომელაური — საქართველოს სსრ მრეწველობა მიმდინარე შვიდწლეულში; ა. გუხია — შენიშვნები ოუფოლოგიიდან რეგიზიონისტების შესახებ; ა. მარჯანიშვილი — საქართველოს სსრ ხე-ტყის მრეწველობის პერსპექტივები 1959-1965 წ.წ; შ. ქორძიე — წარმოების გადადგილების საკითხები სსრ კავშირში 1959-1965 წ.წ; ბ. გუგუშვილი — პოლიგრაფიული მრეწველობისა და მეცნიერული თარგმნის ზოგიერთი საკითხი.

„ინსულტაციისა და საწარმოთა ეკონომიკის განყოფილებებში დაბეჭდილია: თ. ლობჟანიძე — კაპიტალისტური კვლევწარმოება; თ. ლაშაძე — პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხები ჭუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია: გ. მოზაიძე — საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში; გ. ჭანუყვაძე — ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია იმპერიალიზმის სამსახურში; ა. კაკვიძე — როგორ არ უნდა იწერა ბოდეს მონოგრაფიული გამოკვლევა; ლ. კარბელაშვილი — ნაშრომი სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

„სერგეი მესხის ლიტერატურული კრიტიკა“ და სხვ.

წიგნის რედაქტორია რ. ორჯონიკიძე, ტირაჟი — 5000, ფასი — 12 მან. და 20 კაპ.

ქალაქ თბილისის ჟურნალისტთა კრება

2 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში გაიმართა თბილისის ჟურნალისტთა საერთო საქალაქო კრება. კრებაზე მოვიდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის დაახლოებით 260 წევრი, რომელნიც თანამშრომლობენ რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, საქართველოს დეპეშათა სააგენტოში, წიგნის გამომცემლობებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელეხედვის კომიტეტში.

ინფორმაცია სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების პროექტის შესახებ გააკეთა გაზეთ „კომუნისტის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგემ ამხ. ბ. თათარიშვილმა, კამათში გამოვიდნენ ა. რაბინოვიჩი („ზარია ვოსტოკა“), ა. კოკლიანოვი („კომუნისტი“), გ. პოროტაგიშვილი („სოვეტაკან ვრასტანი“) და მ. ტრუსკუნოვი (საქდესი), რომლებმაც მოიწონეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა წესდების პროექტი და შეიტანეს მთელი რიგი დამატებანი და შესწორებანი პროექტის ცალკეულ პუნქტებში.

დასასრულ კრებამ აირჩია დელეგატები საქართველოს ჟურნალისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობისა, რომელიც თბილისში გაიმართება 1959 წლის 26-27 თებერვალს.

„კრიტიკული ეტიუდები“

გიორგი ჯიბლაძის წიგნი „კრატიკული ეტიუდები“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა, მიზნად ისახავს გააშუქოს ქართული მწერლობის რამდენიმე საკითხი რუსეთისა და ევროპის ლიტერატურებთან კავშირში. მასში განხილულია რომანტიზმისა და რეალიზმის პრობლემები კრიტიკულ-ესთეტიკური თვალთახედვით.

„კრიტიკული ეტიუდები“ შედგება შემდეგი თავებისაგან: „ბარათაშვილი და თანამედროვეობა“, „მერანი“, „კომედიები გიორგი ერისთავისა“, „გიორგი წერეთლის შემოქმედება“, „ილია ჭავჭავაძე“, „გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში“, „ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ზოგიერთი საკითხისათვის“, „აკაკის ესთეტიკური იდეალები“.

რედაქტორის მოადგილე
აკ. ჩავლეიშვილი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო იუწყება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარებული ფულისა და ნივთების მეორე ლატარიის ბილეთებით ფულად მოგებათა გაცემა, აგრეთვე 5.000 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულების ნივთის მოგებათა ნაცვლად ფულის გაცემა საქართველოს სს რესპუბლიკაში დაკისრებული აქვთ შემდეგ ცენტრალურ შემნახველ სალაროებს:

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის № 3525;
ქ. ხოსუმის № 3482;
ქ. ბათუმის № 3480;
ქ. სტალინირის № 3503.

აღნიშნულ შემნახველ სალაროებს ეკისრებათ აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა მოგებახვეულილი ლატარიის ბილეთების მიღება იმისათვის, რომ გამოითხოვონ ყველა ნივთის მოგება და 5.000 მანეთზე მეტი ოდენობის ფულადი მოგება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: **რედაქტორის** — 3-62-26, **რედაქტორის მოადგილეების** — 3-63-02, 3-32-05, 3-32-46, **პასუხისმგებელი მდივნის** — 3-72-80, **სამდივნოსი** — 3-06-88, **განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის**—3-81-84, **მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის** — 3-16-90, **სოფლის მეურნეობის** — 3-20-43, **კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების** — 3-80-84, **საბჭოთა შენებლობის** — 3-57-61, **უცხოეთის ინფორმაციის** — 3-80-33, **წერილებისა და პარტიოფოსი** — 3-73-24, **საილუსტრაციო** — 3-08-67, **განცხადებების მიღების** — 3-64-42, **გამომშვების** — 3-81-65.

ბიბლიოგრაფია

ა. შირვანზადეს რჩეული მოთხრობები ქართულ ენაზე

დიდი სომეხი მწერალი ალექსანდრე შირვანზადე (ალექსანდრე მისასის-ძე მოვსესიანი) მთელი ცხოვრების მანძილზე მგზნებარედ უმღეროდა ხალხთა მეგობრობას, დაუცხრომლად იბრძოდა სომეხი, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიული მეგობრობის გახმაკიცებისათვის.

მწერალი-ჰუმანისტის გული ძგერდა ამიერკავკასიის მომძმე ხალხების სიყვარულით. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ა. შირვანზადემ შემდეგი სიტყვებით გამოხატა ეს გრძნობები: „მე თვითონ არ ვიცი, სოლომონ ბრძენი რომელ ერს მიმაკუთვნებდა ამიერკავკასიაში; დავიბადე და ყრმობა გავატარე აზერბაიჯანში, მთელი შეგნებული ცხოვრება და მწერლობა — საქართველოში, სიბერეში ვცხოვრობ სომხეთში, ალბათ, აქვე მოვკვდები და დავიმარხები, მაგრამ გული ვერც ერთს ვერ დასთმობსო“.

ა. შირვანზადეს სახელთან არის დაკავშირებული სომხურ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრება. მწერალი უსაზღვრო სიძულვილით იყო გამსჭვალული კაპიტალისტური წყობილების მიმართ, ულმობლად ამხილებდა და ამთარახებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, მის მორალს.

მისი რომანები „ნამუსი“, „არსენ დიმაკესიანი“, „ქაოსი“, მოთხრობები „ოტისტი“, „მელანია“, „ცეცხლი“, პიესები „პატიოსნებისათვის“, „მორგანის მძახალი“ და სხვა მრავალი ნაწარმოები კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავი შედეგრებია. მათში მაღალი ოსტატობით არის ასახული ქალაქად და სოფლად ბურჟუაზიის ჩასახვისა და მძაფრი კლასთა ბრძოლის გაშლის მკაფიო სურათები.

1905 წლიდან ა. შირვანზადე სხვადასხვა დროს დიდხანს ცხოვრობდა საზღვარგარეთ. მწერალი სულითა და გულით მიესალმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და 1926 წელს სამუდამოდ დაბრუნდა, როგორც თვითონ წერდა, „ლენინის გენიით აღორძინებულ სომხეთში“.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე — 1934 წელს სამოცდათექვსმეტი წლის მხცოვანმა მწერალმა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის ტრიბუნიდან მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც გამოხატა თავისი უსაზღვრო სიხარული და უდიდესი ძალღონის გრძნობა კომუნისტური პარტიისადმი, რომელმაც ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გატარებით აყვავებულ რესპუბლიკად გადააქცია მისი სამშობლო სომხეთი.

ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ხვდებოდა გამოჩენილი სომეხი მწერლის ა. შირვანზადეს ნაწარმოებების ქართულ ენაზე გამოცემას. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე მწერლის მოთხრობები. 1887 წელს ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა მისი „ძვირფასი ბორკილი“, ხოლო 1910 წელს „სახალხო გაზეთის“ სურათებიანმა დამატებამ გამოაქვეყნა სამმოქმედებიანი დრამა „ევგენე“.

1931 წელს გამოვიდა ა. შირვანზადეს ცნობილი რომანი „ნამუსი“, რომლის შესანიშნავი თარგმანი ეკუთვნის იოსებ გრიშაშვილს. იგივე თარგმანი განმეორებით დაიბეჭდა 1948 წელს. 1952 წელს სახელგამმა ცალკე წიგნად გამოსცა ა. შირვანზადეს დიდი სოციალური რომანი „ჭაოსი“ (თარგმანი ს. ავჩიანისა და ი. ტატიშვილისა).

ა. შირვანზადემ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილი თბილისში გაატარა. მისი განუყოფელი და გულითადი მეგობრები იყვნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

ქართული თეატრი მუდამ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ა. შირვანზადეს შემოქმედებას. 1910 წლის 14 თებერვალს თბილისის დრამატულმა დასმა ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით დადგა მწერლის შესანიშნავი პიესა „პატიოსნებისათვის“. 1912 წელ ლ. მესხიშვილის რეჟისორობითა და მონაწილეობით დაიდგა დრამა „ევგენე“. ა. შირვანზადეს პიესები მუდამ წარმატებით იდგმება ქართულ საბჭოთა სცენაზე.

გასულ წელს ა. შირვანზადეს დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ცალკე წიგნად დაბეჭდა მწერლის რჩეული მოთხრობები. კრებულში შეტანილია „არტისტი“, „მელანია“, „ცეცხლი“, „ხანძარი ნავთის ქარხანაში“ და „ძმის მკვლელი“, რომელთა თარგმანი ეკუთვნით არტემ, ივანე და არჩილ დავითიანებს. წიგნს წამძღვარებული აქვს ა. დავითიანის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც მკითხველს აცნობს დიდი სომეხი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ფულის ბატონობაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ არის მიმართული ა. შირვანზადეს პირველი მხატვრული ნაწარმოები „ხანძარი ნავთის ქარხანაში“. ეს მოთხრობა 1883 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მშაკში“ და მაშინვე მიიქცია მკითხველთა ყურადღება.

ჰუმანისტი მწერალი მაღალი ოსტატობით გვიხატავს მოთხრობაში ბურჟუაზიის მხეცურ ბუნებას, მის კერძომესაკუთრულ ეგოიზმს. ქარხნის მეპატრონე ივანე მარუთიანს არაფრად მიაჩნია ადამიანების სიცოცხლე, იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ თავისი ქონება გადაარჩინოს ხანძარს.

მკითხველის თვალწინ იშლება აბობოქრებული ბრძოლის სურათი. ქარხნის მუშები იღუპებიან სტიქიასთან ბრძოლაში. „დასაკლავად წამოქცეული პირუტყვის უკანასკნელი იმედგაცრუებული ბღავილივით მოისმოდა აკა-იქ მიწაზე გაშხლართულ მომაკვდავთა შემზარავი მოთქმა, იმთავან ორი უკვე უძრავად ეგდო. დახრუკულ, დასახჩრებულ სახეზე აღარ ეტყობოდათ სიცოცხლის ნიშანწყალი“, — წერს მწერალი.

მოთხრობა „არტისტი“ 1950 წელს დაიბეჭდა ქართულად ჟურნალ „მნათობში“ (არტემ დავითიანის თარგმანი). ეს შესანიშნავი ნაწარმოები სომხური ლიტერატურის ნამდვილი მარგალიტია. მწერალი ჰუმანისტი მასში გამოხატავს მშრომელი ხალხისადმი ულრმეს სიყვარულს. მოთხრობის მთავარი გმირის ლევონის სახით ა. შირვანზადემ მხატვრული ოსტატობით დახატა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც ამახინჯებს კაპიტალზმი, შეუბრალებლად ახშობს, ანადგურებს მის ნიჭს, არარაობად აქცევს მის მშვენიერ ოცნებასა და მისწრაფებას.

განა მარტო ლევონი? თავისი ცხოვრების გაზაფხულზე იღუპება მოთხრობა „ცეცხლის“ მთავარი გმირი ნიჭიერი და მგზნებარე გულის ახალგაზრდა მარჭარ სანთურიანი. უკუღმართმა სოციალურმა წყობილებამ შეაჯახა ერთმანეთს ღვიძლ ძმები მისაკა და არამ დაბაღიანები (მოთხრობა „ძმის მკვლელი“).

ბურჟუაზიული სა